645
1972

აპრილი
№ 4 1972 წ.

# საბჭოთა ქალი





ვ. ი. ლენინი ბიბლიოთეკაში.
მხატვარი ნ. ბონდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის
შექმნის
50 წლისთავის
შესახვედრად



უკრაინის სსრ სტრიისკის ვაგონ-შემკეთებელი ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი, საპატიო რკინიგზელი გალინა ტულუცი.

118/3

ჟურნალში
ქვეყნდება
მასალები
მოძმე
საბჭოთა
უკრაინის
რესპუბლიკიდან

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ერთიან
ძმურ
ოჯახში



პური. მხატვარი ი. ბონდარენკო.

# „მილიო-ნერთა" სახელით

ხშირად მიხდება მოსკოვში ყოფნა: ვარ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და კოლმეურნეთა საკავშირო საბჭოს წევ-რი. დედაქალაქში ვხვდები მოძმე რესპუბ-ლიკების წარმომადგენლებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს, სახელმწიფო მოღ-ვაწეებს. ვუამბობ მათ სოფელ კოვტნევზე, ჩვენი კოლმეურნეობის მიღწევებზე, კოლ-მეურნეობისა, რომელმაც მთელ ქვეყანაში გაითქვა სახელი თავისი ყანების მოსავლი-ანობითა და მაღალპროდუქტიული ფერმე-ბით.

საილუსტრაციოდ ორიოდე ციფრს დავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელებ: გასულ ხუთწლედში კოლმეურნეობაში თითოეული ძროხის საშუალო წლიურმა წველადობამ 4.623 კილოგრამს მიაღწია, 1970 წელს ყოველ ჰექტარ სავარგულზე მივიღეთ 176 ცენტნერი ხორცი და 1.027 ცენტნერი რძე.

ბევრი შესანიშნავი ადამიანია კოლმეურნეობაში. პირველ რიგში დაუღალავ მარია იარემენკოზე უნდა ვილაპარაკოთ. მან უკვე მოწველა 2 მილიონ კილოგრამზე მეტი რძე. ჯერ კიდევ 1938 წელს, სკოლის დამთავრებისთანავე, მოვიდა მარია კოლმეურნეობაში მწველავი დედის დასახმარებლად. მარიას მამა რომან იარემენკო მაშინ ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. მან მოუწონა ქალიშვილს ეს ნაბიჯი.

ომის მრისხანე წლებში ორივენი — კომუნისტი — მამა და კომკავშირელი—ქალიშვილი, სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ. მამა დაიღუპა, ქალიშვილმა ბერლინამდე სდია მტერს, რაიხსტაგის კიბეებზე შედგა და ავტომატის ჯერით გამარჯვების სალუტი მისცა. დემობილიზებული, ისევ ფერმას დაუბრუნდა. მას პირველად 1954 წელს შევხვდი. მერგოლური ვიყავი და ჯიშიანი ძროხების ფერმაში გამაგზავნეს მწველავად. ალერსიანად მიმიღო მარიამ. იმ დღიდან იგი ჩემი არა მარტო მრჩეველი იყო, არამედ შრომისმოყვარეობისა და კეთილსინდისიერების მაგალითიც. დილას ყველას ასწრებდა მოსვლას და ყველაზე გვიან სტოვებდა ფერმას.

მარია დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენითა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროსა და ვერცხლის მედლებით. მიმაგრებული ჰყავს 20 ძროხა. საიუბილეო წელს თითოეულ ძროხაზე მიიღო 5.670 კილოგრამი რძე. ახლა ახალი მიზანი აქვს დასახული — მეცხრე ხუთწლედში 6 ათას კილოგრამს მიაღწიოს.

მარია იარემენკოს მხარდამხარ მუშაობენ ორდენოსანი მწველავები: ანა პლევაკო და მოტრია კულიკი. მათაც ორ-ორი მილიონი კილოგრამი რძე მოწველეს. უფროსი თაობის მწველავთა მაგალითს მიჰყვებიან კომკავშირელი მწველავები: ნინა ანდრიუშენკომ შარშან 4.726 კილოგრამი რძე მოწველა თითოეული ძროხიდან, ოლგა სოლდატენკომ — 5.065 კილოგრამი.

როგორია ჩვენი გეგმები მეცხრე ხუთწლედში? გადაწყვეტილი გვაქვს ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე მივიღოთ 180 ცენტნერი ხორცი და 1.100 ცენტნერი რძე. ჩემი პირადი წილი კი ასეთი იქნება: 16 წლის მანძილზე 1.417.000 კილოგრამი რძე მოვწველე, კერძოდ, 1970 წელს თითოეულ ძროხაზე მივიღე 7.615 კილოგრამი; ერთიორი წლის შემდეგ საშუალო წველადობას რვა ტონამდე ავიყვან.

ამას ჩვენ მივაღწევთ, რადგან მხარს გვიჭერს მთელი კოლმეურნეობა, მთელი ჩვენი სოფელი.

**ანა დოვჟენკო,**

სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

# მომავლის ადამიანი

ადამიანი, მისი რთული, განუმეორებელი შინაგანი სამყარო, ძიება, გამარჯვება, მიღწევა, დამარცხება — ეს პრობლემები მარად აღელვებს მეცნიერთ, მოაზროვნეთ და ხელოვანთ.

ახლა, როცა ყოველი წელი გვაახლოვებს კაცობრიობის საუკუნოვან ოცნებასთან — ახალ საზოგადოებასთან, როცა უკვე ყალიბდება და იკვეთება კომუნისტური საზოგადოების წევრის ხასიათი, საკითხი თუ როგორი უნდა იყოს იგი, უდიდეს ყურადღებას იქცევს.

ამ პრობლემას მიუძღვნა თავისი ნაშრომი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ფილოსოფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ ლიდია ვასილის ასულმა სოხანმა.

მრავალი პროფესიის ქალს შევხვედრივარ. ფილოსოფოსს კი პირველად ვხვდები.

როგორია იგი? კეთილი, გულღია და ძალიან ქალური.

გაოცებთ მისი აზრის სიღრმე, ფორმულირებათა სიზუსტე, დამაჯერებლობა. ყოველივე ამის მიღმა კი — მტკიცე ნებისყოფა.

პირველი შეკითხვა: — როდის გაგიტაცათ ფილოსოფიამ?

იღიმება.

— იცით რა, ჯობია საქმეზე ვილაპარაკოთ.

— არა, მაინც, მაინც! — არ ვეშვები მე.

რამდენიმე წუთით სდუმს, მერე კი ძალიან მოკლედ მპასუხობს:

— ჯერ კიდევ სკოლის წლებში გამიტაცა დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, შევჩენკოს, გერცენის ნაწარმოებებმა. სპეციალურ რვეულში ვიწერდი ხოლმე ისეთ აზრებს, რაც ადამიანის ჩამოყალიბებას ეხებოდა. შემდეგ პედაგოგიური ინსტიტუტი, ასპირანტურა, ფილოსოფიის ინსტიტუტი, საკანდიდატო დისერტაცია: „მუშის შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება სოციალისტური შეჯიბრების პროცესში". შემდეგ... წიგნი — „პიროვნების სულიერი პროცესი და კომუნიზმი", ეს წიგნი საფუძვლად დაედო ჩემს სადოქტორო ნაშრომს.

— ისევ აგრძელებთ ამ პრობლემაზე მუშაობას?

— ადამიანი მუდამ მაინტერესებდა. მაინტერესებს როგორ ვითარდება პიროვნება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ფაზაში. როგორ გავლენას იქონიებს თანამედროვე და მომავალ თაობებზე იგი, კარგს თუ ცუდს? რა მოაქვს მას ადამიანისათვის — ბუნების ძალებზე სრული ბატონობა თუ ახალი ბორკილები? იქნებ, მანქანის მიერ ფიზიკური და, ნაწილობრივ, გონებრივი შრომისაგან განთავისუფლებულს საშუალება მიეცეს უფრო შემოქმედებითად იაზროვნოს? ან, პირიქით, „მოაზროვნე" მანქანის დამატებად იქცეს, როგორც ამას დასავლეთში სწერენ, ანდა სულაც გაქრეს მიწისაგან პირისა?

მეტად საინტერესოა, ასევე, ადამიანის შემოქმედების ახალი მოტივებისათვის თვალის დევნება. რატომ არის მშრომელი კაცი სოციალურად აქტიური, რატომ აყენებს და სწყვეტს ახალ-ახალ პრობლემებს?!

ყოველ ახალ ხელსაწყოს შექმნას ან მეცნიერულ აღმოჩენას წინ უძღვის შემოქმედებითი ტანჯვა, მარცხი, იმედგაცრუება. მაგრამ ადამიანი უკან მაინც არ იხევს, შრომობს, რატომ?

წინათ პირველ პლანზე იდგა მატერიალური დაინტერესება, მერე კი ისეთი სტიმული, როგორიცაა მეცნიერული აღმოჩენის წყურვილი. სოციალურ პროგრესს ამ პროცესში შეაქვს ცვლილებები. მატერიალური სიუხვე ახლა ადამიანის სულიერ მოთხოვნილებებს ემსახურება. ადამიანს სურს იმოგზაუროს, იყიდოს მუსიკალური ფირფიტები, უფრო ხშირად იაროს კინოსა და თეატრში.

მეცხრე ხუთწლედში კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ცხოვრების დონის ასამაღლებლად. კარლ მარქსი წერდა: სიმდიდრე ესაა სრული გამარჯვება ბუნების ძალებზე, საზოგადოებრივი ურთიერთობის, ადამიანის შემოქმედებითი უნარის აბსოლუტური გამოვლენის საშუალებაო.

მეცნიერების წინაშე ახლა მთელი სიმწვავით დადგა ნიჭისა და უნარის ყოველმხრივ განვითარების, შემოქმედებითი ინდივიდუალურობის გამოკვეთის საკითხი.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ადამიანს გაანთავისუფლებს მძიმე შრომისაგან, მეტ დროს უბოძებს მას გამოამჟღავნოს თავისი ნიჭი და უნარი. ამის ერთი დადასტურებაა მხატვრული შემოქმედების განვითარება ჩვენს ქვეყანაში. მხატვრულ თვითმოქმედებაში მონაწილეობს ცამეტი მილიონი მოზრდილი ადამიანი და 10 მილიონი მოსწავლე ახალგაზრდობა.

— ლიდია ვასილევნა, ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ორ ვაჟსა ზრდით. როგორ ახერხებთ მეცნიერულ და საოჯახო მოვალეობათა შერწყმას?

— როგორ ხერხდება, ეს ყველა ქალმა იცის. ცოტა არ იყოს სკეპტიკურად ვეკიდები გამოთქმას: ისეთი ყოჩაღია, ყველაფერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასწრებსო. დედობის, ოჯახური მოვალეობისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის ურთიერთშეხამება მარტო ჩემთვის კი არა, ყველა ქალისათვის პრობლემადაა ქცეული. სულ უფრო მატულობს იმ ქალთა რიცხვი, რომელთაც ყველა სფეროში სურთ იმოღვაწეონ. ეს პრობლემა აღელვებს მსოფლიო საზოგადოებრიობას, ამ პრობლემებზე იმსჯელა სოციოლოგთა საერთაშორისო კონგრესმა.

ჩვენი მშრომელი ქალები დიდ იმედებს ამყარებენ მეცხრე ხუთწლედზე, როცა განხორციელდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი საბჭოთა ქალის — დედის შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და ბავშვთა აღზრდისათვის.

— რა აზრისა ხართ ზოგიერთი მამაკაცის წინადადებაზე, ქალმა არ უნდა იმუშაოსო.

— ეს შეუძლებელია, ეს ხომ ერთი ნაბიჯით უკან დახევა იქნება. ქალის აქტიური მონაწილეობა ცივილიზაციის პროცესში არის კაცობრიობის პროგრესის ერთ-ერთი მიღწევათაგანი. ზოგი შეღავათი კი აუცილებელია. საზოგადოებრივი ვალდებულების განაწილებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, ქალი, უპირველეს ყოვლისა, დედაა. აქედან გამომდინარე, ისეთი საპატიო სოციალური ვალდებულება, როგორიც ბავშვის აღზრდაა, მას უკვე დავალებული აქვს.

სოციალისტურ საზოგადოებაში ქალი მამაკაცის თანაბარია, მაგრამ დედის მოვალეობისაგან მას ვერავინ ვერ გაანთავისუფლებს, დედის ზრუნვას და ალერსს, განსაკუთრებით სანამ ბავშვი პატარაა, ვერავინ შეცვლის.

ქალის შრომის შესამსუბუქებლად კი უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. პარტიის XXIV ყრილობაზე ითქვა იმის შესახებ, რომ ქალს მიეცეს საშუალება სამუშაო სახლში შეასრულოს.

— თქვენ პირადად რა გამოსავალს ხედავთ?

— პირველ ხანებში ნახევარ სამუშაო დღეზე გადასვლას, თუნდაც არასრული კომპენსაციით. მერე, როცა კეთილდღეობა გაიზრდება, აღარც ეს იქნება პრობლემა.

— ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ რა თანამდებობაც არ უნდა ეკავოს, ქალი ქალური და ნაზი უნდა იყვეს?

— რა თქმა უნდა! ამ თვისებების გარეშე ქალი დაკარგავდა თავის მიმზიდველობას.

— რომელი წიგნის გმირია თქვენთან სულიერად ახლოს და რატომ?

— ელენე, ტურგენევის „წინადღიდან“, მე იგი მხიბლავს სულიერი სიწმინდით, თავდადებითა და ერთგულებით. მიყვარს პუშკინისა და გორკის ნებისყოფიანი, უანგარო ქალები.

— როგორ გესმით „უანგარობა“?

— რაც შეიძლება მეტი მისცე კაცობრიობას. ეს არ არის ლიტონი სიტყვები. სწორედ ამით შეიძლება, ჰპოვოს ადამიანმა უდიდესი კმაყოფილება. სადაც არ უნდა იყვე, რასაც არ უნდა ჰქმნიდე, თუ კი ხალხზე ფიქრობ, მათი სიკეთისათვის იღწვი, მხოლოდ მაშინ გრძნობ თავს ბედნიერად.

— თქვენი აზრით, რა უფრო საჭიროა საქმისათვის ნიჭი, ცოდნა თუ ხასიათი. რამდენად უკეთებენ ერთმანეთს ეს თვისებები კომპესაციას?

— ცალ-ცალკე გამოყოფა ძნელია. უნიჭობას ცუდ ხასიათზე ნაკლები ვნება როდი მოაქვს. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტივთან შეგუების უნარს. რამდენი უსიამოვნება ხდება იმის გამო, რომ ცალკეულ პირს არ შესწევს უნარი ანგარიში გაუწიოს სხვებს.

კარგი ხასიათი ძალიან საჭიროა: წესიერი კაცი კრიტიკულად უდგება საკუთარ თავს და ხელს არ ჰკიდებს ისეთ საქმეს, რისი გაკეთების უნარიც არ გააჩნია.

არ შემიძლია კიდევ ერთი რამ არ აღვნიშნო: ადამიანი საზოგადოებაში უნდა იქცეოდეს სოციალური, იურიდიული ნორმებისა და ტრადიციების მიხედვით, ქცევის რეგულატორად მისი სინდისი, მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა გვევლინება.

რაც უფრო დიდია მიზანი, რისთვისაც ცოცხლობს და შრომობს ადამიანი, მით უფრო მოწინავე, შინაარსიანი, სოციალურად მნიშვნელოვანია პიროვნება. ნიკოლოზ ოსტროვსკი წერდა: კაცი მაშინ იქცევა ადამიანად, როცა თავის ცხოვრებას დიდ იდეას მიუძღვნისო.

არის ერთი უმაღლესი იდეა, რომელიც ხალხებს დევგმირებად აქცევს. ეს იდეაა კომუნიზმი. ღრმა იდეურობა, ბრძოლა იდეების ცხოვრებაში გასატარებლად არის ადამიანის ბედნიერების უცილობელი პირობა.

**გალინა შილო**

## უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები


ნინა ოვჩარენკო — მებათქაშე-მღებავი.


ნადეჟდა პროკოპოვა — ინჟინერ-ტექნოლოგი.


ელვირა დუბკო — საავეჯო კომბინატის მუშა.


ანა იუხიშინა — მწველავი.



## გიწვევთ სასაუბროდ

რამდენიმე დღის წინათ ქუჩაში ყოფილ თანამშრომელს შევხვდი. ცისფერ ეტლში ბალღი ეწვინა.

— შენია? მომილოცავს.

მადლიერებით გამიღიმა, მაგრამ მერე ამოიოხრა:

— ახლა ორი-სამი წელი უნდა ამოშალო ცხოვრებიდან. აღარც სამსახურში გამოდგები, ვერც წიგნს აიღებ ხელში, თეატრისკენ გზაც კი დაგავიწყდება.

ალბათ, კიდევ იწუწუნებდა, მაგრამ ვეღარ მოვითმინე:

— გულახდილად მითხარი, როდის იყავი უკანასკნელად თეატრში? განა სპექტაკლებს იმიტომ არ ესწრები, რომ დრო არა გაქვს? რა შუაშია აქ ბავშვები?

გამახსენდა საკუთარი ამბავი. ქალიშვილი გამითხოვდა. მალე იურაც გაჩნდა. როცა მასთან მივდიოდი, ამოსუნთქვის დროც არა მქონდა. ჩემი შვილი კი დაღლილობისაგან ფეხზე ველარ დგებოდა. ბავშვი ჭირვეულობდა, ვერაფრით ვაშოშმინებდით, რაც უფრო იზრდებოდა, კიდევ უფრო უჯიათი ხდებოდა.

ვეუბნები:

— შვილო, სანამ ეს ერთი გეყოლებათ, მაგას ვერაფერს მოუხერხებ. ხომ ხედავ, ეგოისტი იზრდება-მეთქი.

ის კი: — რას ამბობ, დედა, ერთსაც ვერ ავუდივარ! მეორეს როგორღა მოვუვლით?

მაგრამ მაინც გადაწყვიტა. მეორე ბავშვს ისიცა და მისი ქმარიც შიშნარევი სიხარულით ელოდნენ: ერთი მხრივ, როგორც იურას ტირანიისაგან თავდასაღწევ საშუალებას, და მეორე მხრივ, როგორც დამატებით საზრუნავს.

ჰოდა, ტყუპები არ გაჩნდნენ!

მეც უცბად სამი შვილიშვილი აღმომაჩნდა. ქალიშვილში კი მხოლოდ ახლა გაიღვიძა დედა-მზრუნველმა, მაგრამ ძალიან გონიერმა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მოაცებს მისი საქციელი. ახლა ის აღარ გარბის ბავშვის პირველსავე ყვირილზე; არ ეძლევა სასოწარკვეთილებას. თუ ბავშვებმა უცბად

უარი თქვეს საჭმელზე, — სიდინჯითა და მოთმინებით იმორჩილებს მათ.

თითქოს თვალდახელშუა შემიცვალეს ჩემი ტანია. უფროსმა შვილიშვილმაც გამოიცვალა ზნე. თითქოს გაიზარდა. თვითონ ჭამს, იცვამს, თამაშობს — აქაოდა, მე ხომ უფროსი ვარო! ძმებს ერთი ნაბიჯითაც არ სცილდება, ართობს, ეთამაშება. დედა ეუბნება ხოლმე: შენ ნამდვილად ჩემი თანაშემწე ხარ. ნეტავ, რა გვეშველებოდა უშენოდო?

ჰოდა, ოჯახში ბედნიერება დამკვიდრდა. ხმაწკრიალა ბედნიერება, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი ბედნიერება ამ ქვეყანაზე.

ჩემთან ხშირად მოდიან ქალები მიღებაზე. ზოგიერთი უკმაყოფილოა თავისი ოჯახური ცხოვრებით. მაშინ ვეკითხები: „გყავთ თუ არა ბავშვები? რამდენი?" როგორც წესი, მიპასუხებენ: „ერთი". მრავალშვილიან ოჯახებს უფრო და უფრო იშვიათად ვხვდები. რატომ? თითქოს ცხოვრების პირობები სულ უმჯობესდება. განა შეიძლება ის წარსულს შევადაროთ? მით უფრო ჩვენთან, იზმაილოვშჩინაზე. 1940 წლამდე ქალი აქ ისეთსავე მდგომარეობაში იყო, როგორც რევოლუციამდელი უზბეკი, თურქმენი, ყაზახი ქალები. მას არ ჰქონდა უფლება მამაკაცის გვერდით გაევლო, მათ სუფრას მისჯდომოდა. ღამეს ოთახში კი არა, წინკარში ათევდა. რამდენი ძალ-ღონის დახარჯვა იყო საჭირო, რომ ისტორიულად ასე მცირე დროის — სულ 30 წლის განმავლობაში ის ტრიბუნაზე გამოგვეყვანა, სასკოლო მერხთან დაგვესვა, გაგვეხსნა გზა საკლუბო სცენისაკენ და დაგვემხანაგებია საუკუნეობით მოშუღლე ბულგარელ და ალბანელ ქალებთან.

ალბათ, სიმბოლიურია ის ამბავი, რომ სამხრეთ ბესარაბიის ქალები ტრადიციულად მხოლოდ შავი ფერის ტანსაცმელს ატარებენ. ბავშვობიდან მოხუცებულობამდე გლოვობდნენ ისინი არა მარტო იანიჩარების ხმლით განგმირულ ნათესავებსა და ახლობლებს, არამედ დასტიროდნენ საკუთარ ბედს, თავიანთი შვილების ბედს, რომლებსაც ავადმყოფობა და შიმშილით სიკვდილი ელოდათ. დაბალი სანიტარული კულტურა, სამედიცინო მომსახურების საოცრად დაბალი დონე, ცუდი კვება, ყველაფერი ეს ეპიდემიათა აფეთქებას იწვევდა და ათასობით ბავშვის სიცოცხლეს იმსხვერპლებდა.

ახლა, ჩვენს რაიონში 9 საუბნო, ცენტრალური და ბავშვთა საავადმყოფოა. ყოველ სოფელშია მედდების პუნქტი, ამბულატორია და სამშობიარო სახლი. გვაქვს 17 საკოლმეურნეო სარძევე სამზარეულო, რომლებმაც პატარებისათვის მარტო შარშან 4 ათასამდე სხვადასხვა სახის ულუფა დაამზადეს. და ყველაფერი ეს — უფასოდ. ამ სამზარეულოში ქალებს შეუძლიათ მოისმინონ ლექცია, მიიღონ კონსულტაცია ახალშობილთა მოვლის შესახებ.

სოფელ გოროდნოეს 8 მარტის სახელობის კოლმეურნეობის მეღორე ქალი მარია პეტკოვა მეხუთე ბავშვს ელოდება, მან მითხრა:

— 56 დღის დეკრეტული შვებულების ანგარიშში 187 მანეთი მივიღეთ.

— წლიური შემოსავალი რა აქვს თქვენს ოჯახს?

— დაახლოებით 3.500 მანეთი.

— ბავშვი რომ გაგიჩნდებათ, მისთვის საკვებს სამზარეულოში აიღებთ?

— რა თქმა უნდა! სხვა შვილებიც ასე გამოვკვებე. ახლა ყველანი ბაგასა და ბაღში დადიან უფასოდ.

სოფელ კრასნოარმეისკოეს კოლმეურნემ დ. ნედიოელომ 8 ბავშვი გამოზარდა ამ საკვებით. ყველა ჯანმრთელი და საღსალამათია. რა არის დედისთვის ამაზე სასიხარულო?

ჩვენი აღმასკომი, კოლმეურნეობის გამგეობა, დღენიადაგ იმაზე ზრუნავენ, რომ ბავშვი დედას არ ბოჭავდეს. ქალმა უნდა იმუშაოს. არ უნდა ჩაეფლოს მხოლოდ ოჯახურ საქმიანობაში, არ უნდა შემოფარგლოს თავისი ცხოვრება საკუთარი სახლის კედლებით.

სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებმა (აქ დაახლოებით ორი ათას ხუთასზე მეტი ბავშვი იზრდება) ძალიან განტვირთეს დედები. ამ ბოლო დროს ბევრი ბაგა-ბაღი შესახლდა თანამედროვე, სპეციალურად აღჭურვილ შენობაში, სადაც ყველაფერი შეესაბამება ბავშვის ასაკს, ჰიგიენისა და ესთეტიკის მოთხოვნებს.

რაისაბჭოს აღმასკომში პერიოდულად ვატარებთ ბაგებისა და ბაღების მზარეულთა სემინარებს. ახლა კალორიულობის გაზრდისთვის კი არ ვზრუნავთ (ეს უკვე განვლილი ამბავია), არამედ ვცდილობთ ვასწავლოთ მზარეულებს ისეთი გემრიელი და ნაირფეროვანი კერძების მომზადება, რომ ბავშვის მაგიდაზე საჭმლის ნარჩენები აღარ დავინახოთ.

საბავშვო დაწესებულებების პედაგოგებად, აღმზრდელებად პედსასწავლებელ და უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდობა გვყავს. ბავშვებთან ხშირად ჩამოდიან სტუმრად თოჯინების თეატრის მსახიობები (თოჯინების თეატრი 12 კოლმეურნეობაშია ჩამოყალიბებული). ერთი სიტყვით, სკოლაში ყოველმხრივ მომზადებული და განვითარებული ბავშვები მიდიან.

სახელმწიფომ თავის თავზე აიღო დედების მრავალი ყოველდღიური საზრუნავი.

რატომ — და იცევ რატომ მცირდება სულ უფრო და უფრო მრავალშვილიანი ოჯახები?

ჩვენ მივეჩვიეთ, რომ დღითიდღე ფართოვდება კონსულტაციების ქსელი, იზრდება ბაღების, ბაგების, სარძევე სამზარეულოების რიცხვი, რომ სასადილოები და კაფეები საოჯახო სადილებს ამზადებენ, ხოლო სკოლაში გახანგრძლივებული დღის ჯგუფები მუშაობენ.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, უმსუბუქებს ქალს ყოფას, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მთავარი. მთავარი, ჩემი აზრით, ქალის ფსიქოლოგიაა. უწინ ქალი ჩაკეტილი იყო თავისი ოჯახის ვიწრო ინტერესთა ფარგლებში. მან იცოდა, რომ უპირველეს ყოვლისა, იგი დედა უნდა იყოს. ახლა კი სამსახურმა და საზოგადოებრივმა საქმიანობამ იმდენად ჩაითრია, რომ ზოგჯერ უქრება ბავშვის ყოლის სურვილი. დამკვიდრდა ეგოისტური შეხედულება ბავშვებზე, როგორც რაღაც მძიმე ტვირთზე: საქმეს გვაცდენენ, ხელს გვიშლიან მუშაობაშიო. ამ აზრს თანდათან მიეჩვივნენ და უკვე ერთი ბავშვით კმაყოფილდებიან, იმას კი ვერ ამჩნევენ, როგორ გაილარიბეს თავი. მაგრამ შეუძლებელია ზუსტად აწონო, რომელი უფრო მეტს აძლევს — მშობელი ბავშვს, თუ ბავშვი მშობელს. აქ მუდმივი ურთიერთგაცვლაა. ერთი მხრით, ზრუნვა, მეორე მხრით, დედობით გამოწვეული ბედნიერება, სიხარული, პირველად „დედას" რომ გაიგონებ, პირველ ხუთიანს რომ მოგირბენინებს, დაუსრულებელი კითხვები: „როგორ" და „რატომ" პასუხზე დახარჯული წუთები ნაზღაურდება იმ ცოდნით, რომელიც გინდა თუ არა, უნდა შეიძინო, რომ ბავშვის თვალში ავტორიტეტი არ დაკარგო, მაგრამ განა ყველაფერის ჩამოთვლა შეიძლება?

ბავშვი გააჩინეთო — განა შეიძლება ამასთვის აგიტაციის გაწევა? აქ რაღაც სხვა არის საჭირო. მე მგონი, გოგონებს (ჯერ კიდევ ბავშვობიდან) უნდა ჩავუნერგოთ დედობის სპეტაკი გრძნობა. განა ბევრ სკოლადამთავრებულ გოგონას შეუძლია სადილის მომზადება, ბინის კარგად დალაგება, ისე რომ სისუფთავეც იყოს და მყუდროებაც? განა ერთ მათგანს მაინც შეუძლია ახალშობილის შეხვევა?

საერთოდ იციან მათ, რა არის ოჯახი? ამზადებს მათ სკოლა ამისათვის? არა! აქ ჩვენ ყველანი თვითნასწავლები ვართ. მაგონდება შრომითი დიდების საღამოები ჩვენი რაიონის სკოლებში, მაგრამ არ მახსოვს, რომ რომელიმე საღამოზე მრავალშვილიანი დედა მოეწვიოთ, რომელიც გაუზიარებდა დამსწრეებს თავის უდიდეს, შეუდარებელ სიხარულს დედობრივ ბედნიერებაზე.

რაღაც შეუმჩნევლად გაქრენ თემუროველები, რომლებიც ასე გვიტაცებდნენ ჩვენ — უფროსებსაც და უმცროსებსაც, ომისშემდგომ მოსწავლეებს. განა ისინი არ უნდა დაეხმარონ ქალებს, რომლებსაც სამი, ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ? ის კი არა, განა ბევრ ჩვენგანს, დედებს, გვეხმარებიან უფროსი ბავშვები უმცროსების მოვლაში? აი, ასე ვახშობთ ჯერ აღმოუცენებელი სიყვარულის ღივს ამ პატარა უმწეო არსებებისადმი, რომლებსაც უფროსების ალერსი და მეურვეობა სჭირდებათ! აი, როგორ, ვუნერგავთ ჩვენს ბავშვებს უნებლიეთ უსულგულო დამოკიდებულებას პაწაწა არსებების მიმართ: ბავშვები ხელს გვიშლიან!

ბევრი სამუშაო აქვს რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკს. მაგრამ ყველაზე სასიხარულო და მნიშვნელოვანია — დაეხმარო დედებს, რომლებიც ჩვენს ცვლას ზრდიან.

ვწერ ამ სტრიქონებს, რეპროდუქტორიდან კი ისმის სიმღერა: „კარგი საქმეა ვაჟების აღზრდა"... და უნებლიეთ ქალალდზე ჩნდება სიტყვები: „კარგი საქმეა ბავშვების გაზრდა!"

ჰოდა, ამ სიტყვებით ვამთავრებ კიდეც.

**ვერა შევჩენკო,**

**ოდესჩინის ვოლგოგრადის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.**

# მეგობრობამ არ იცის მანძილი



კიევში, ფრანკოს სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მახლობლად ცხოვრობდა ცნობილი უკრაინელი რეჟისორი გნატ პეტრეს ძე იურა. ამ საინტერესო პიროვნებასთან შეხვედრა კულტურის ბევრ მოღვაწეს იზიდავდა. მის ბინაში ხშირად იკრიბებოდნენ მეგობრები. წლებმა თავისი წაიღო და მხცოვანი რეჟისორის ჯანმრთელობა შეირყა. იგი მარტოობას ამჯობინებდა.

საქართველოდან სტუმარი გეწვიათო, — უთხრეს ერთ დღეს. გნატს სახე გაუბრწყინდა. სასტუმრო ოთახში ხელით გამოიყვანეს. მის წინ სახემომღიმარი ქალი იდგა. დასხდნენ, ისაუბრეს. გნატმა ქართველი მეგობრები მოიკითხა. იგი მოიხიბლა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ნადია შალუტაშვილის საინტერესო საუბრით, კულტურით, განათლებით. გამომშვიდობებისას ლარნაკიდან წითელი მიხაკები ამოიღო და გადასცა, თან დააბარა: სალამი გადაეცით ჩემს საყვარელ საქართველოს, ჩემს ქართველ მეგობრებს. არ დამივიწყოთო.

გნატ იურა ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა.

• • •

...მაშინ მოსკოვში მიფრინავდა. გზაზე საჰაერო შეფერხება მოხდა და ხარკოვის მახლობლად ერთ-ერთ სოფელში სხვა მგზავრებთან ერთად გაათია ღამე. და აი, მან პირველად იგრძნო უკრაინული მიწის სურნელი და წარუშლელი მიმზიდველობა. ჩემში განსაკუთრებული ცვლილება მოხდა, უკრაინით დაიწყო ახალი რაღაც ჩემს ცხოვრებაშიო, — ამბობს ნადია.

სულ სხვა სამყარო გადაეშალა თვალწინ. დიდი და უსასრულო. მუდმივ ძიებაში გაფერმკრთალდნენ ღამეებიც...

„დიადი მეგობრობის ფურცლები“. — ასე უწოდა მან კიევში გამოცემულ თავის წიგნს ქართული და უკრაინული თეატრების ურთიერთობაზე, წიგნს წამძღვარებული აქვს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ი. ვოლოშინის წინასიტყვაობა.

წიგნმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში. რეცენზიები დაიბეჭდა კიევის პრესაში, მოსკოვის ჟურნალ „თეატრში“, აგრეთვე „ლიტერატურნაია გრუზიასა“ და „საბჭოთა ხელოვნებაში“.

ეს წიგნი ისტორიული ნარკვევია უკრაინისა და საქართველოს თეატრების კავშირის შესახებ, რასაც დიდი ხნის ისტორია აქვს. ავტორს გამოყენებული აქვს სახელმწიფო ისტორიული არქივისა და მემუარული მასალები, პერიოდული პრესა.

თეატრალური ურთიერთობის გაშუქები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სას ავტორი არ იფარგლება მხოლოდ ქრონიკებით. იგი დამაჯერებლად მოგვითხრობს და მკითხველს საყურადღებო მასალებს აწვდის თბილისში 1845 წელს დაარსებულ პირველ რუსულ თეატრზე, სადაც გარდა რუსული პიესებისა, იდგმებოდა უკრაინულიც.

ნადია შალუტაშვილმა ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნა რეცენზიები, წერილები მოსკოვის მცირე თეატრის, ვახტანგოვის თეატრის, ფრანგული თეატრის, ლვოვის ზანკოვეცკის, დნეპროპეტროვსკის შევჩენკოს, ოდესის ოქტომბრის რევოლუციის სახელობისა და სხვა თეატრების გასტროლების შესახებ თბილისში. პროფესიულად დაწერილ მის სტატიებს, რეცენზიებს ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევენ მკითხველები. იგი ავტორია მრავალი წერილისა და რეცენზიისა ჩვენი თეატრების სპექტაკლთა შესახებ.

ნადია შალუტაშვილი ავტორია საინტერესო მონაკვლევი მასალებისა: „გრიბოედოვი და საქართველო“, „ვ. კაჩალოვი“, „სტანისლავსკი, როგორც მსახიობი“, „ლევ ტოლსტოი და სამხატვრო თეატრი“. ამჟამად მუშაობს ქართული თეატრის საკითხებზე, სახელდობრ მონოგრაფიაზე რუსულ-ქართული თეატრალური ურთიერთობის შესახებ.

ნადია შალუტაშვილს ხშირად იწვევენ უკრაინაში, იგი ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებს უკრაინის თეატრალური საზოგადოების ყრილობების, საიუბილეო სესიებისა თუ პლენუმების მუშაობაში. თითქმის ყველა კულტურული ღონისძიების მონაწილეა. ნადია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უკრაინა-საქართველოს თეატრალურ კავშირს.

ბავშვობა ნადიამ ბორჯომის წარმტაც კუთხეში გაატარა. აქ შეიგრძნო სილამაზე და მშვენება ბუნებისა. მისი მამა ნიკოლოზი რკინიგზელი მუშა, 1917 წლიდან სკკპ წევრი, მეტეხის ციხეში იჯდა. იატაკქვეშელს, ათხვრეტა ჰქონდა მისჯილი. და მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ უშველა. ნადიას დედა უკრაინელია. მშობლები ქალიშვილს საქართველოსა და უკრაინის სიყვარულს უნერგავდნენ. ამ ოჯახში ორი ქვეყნის კულტურა ორგანულად იყო შერწყმული, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მომავალ მკვლევარზე. შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა.

...მერხზე იჯდა იგი და ცნობილ პედაგოგს ბაბო მჭედლიძეს გულისყურით უსმენდა. მან შეაყვარა ილია და აკაკი, ვაჟა და ბარათაშვილი, მთელი ქართული ლიტერატურა.

შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნათელი დარბაზები... იგი გატაცებით ისმენს გრიგოლ წერეთლისა და შალვა ნუცუბიძის, მიხეილ ზანდუკელისა და არნოლდ ჩიქობავას, კორნელი კეკელიძისა და გიორგი ახვლედიანის ლექციებს. მისი მატრიკული ხუთიანებით ივსება.

* * *

სამამულო ომი მძვინვარებდა. ქალაქში შუქშენიღბვა იყო. ლამფა ბჟუტავდა თბილისის პირველი საშუალო სკოლის შენობაში. ივსებოდა სიმწიფის ატესტატები, რომელთაც მასწავლებლები გვარებს აწერდნენ და ყმაწვილებს ბრძოლის ველისკენ გზას ულოცავდნენ. პედაგოგთა შორის ახალბედა მასწავლებელი ნადეჟდა შალუტაშვილიც იყო.

იგი ბევრს კითხულობდა, მუშაობდა და ფიქრობდა: გრძნობდა, რომ გული თეატრალური ინსტიტუტისაკენ მიუწევდა. თეატრმცოდნეობა იზიდავდა. და ახლა ამ ფაკულტეტზე გადაწყვიტა სწავლა. მაშინ თეატრალურ ინსტიტუტში აკაკი ფაღავა, აკაკი ხორავა, გიორგი ტოვსტონოგოვი, დოდო ალექსიძე, ვახტანგ ბერიძე და მალიკო მრევლიშვილი მოღვაწეობდნენ.

...1946 წელს უკვე მან დაიწყო ლექციების კითხვა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში. კითხულობდა დასავლეთ ევროპის თეატრის ისტორიის კურსს, უფრო გვიან კი რუსულისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრების ისტორიას, ამავე დროს მუშაობდა გრიბოედოვის სახელობის, მოზარდმაყურებელთა რუსულ და ქართულ თეატრებთან არსებულ სტუდიებში და კინოსკოლაში.

ნადია შალუტაშვილმა მრავალი სტატია და რეცენზია გამოაქვეყნა „ლიტერატურულ საქართველოში“, „კომუნისტში“, „ზარია ვოსტოკასა“ და „ვეჩერნი თბილისში“, მოსკოვის, ლატვიის, უკრაინის ჟურნალ-გაზეთებში.

ნადია აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. იგი არის თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრისა და მოზარდმაყურებელთა რუსული თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრი, ხელოვნების მუშაკთა სახლთან არსებული კულტურის უნივერსიტეტის რექტორი.

უკვე 27 წელია ნადია შალუტაშვილი თეატრალურ ინსტიტუტში მუშაობს პედაგოგად, მისი ყოფილი სტუდენტებია მსახიობები: კოტე მახარაძე, ეროსი მანჯგალაძე, ზინა კვერენჩხილაძე, დოდო და ლეილა აბაშიძეები, რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე; თეატრმცოდნეები: ნოდარ გურაბანიძე, ვასილ კიკნაძე, თენგიზ ჯანელიძე და სხვები.

მისი ყოფილი მოსწავლეები თეატრებში, ტელესტუდიაში, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მუშაობენ. ყოველთვის ჰეგობრული, მაგრამ მომთხოვნი პედაგოგი მათ ნამუშევარს ამჟამადაც მართალი გულით სჯის და აფასებს, ქებასაც უძღვნის და შენიშვნებსაც აძლევს.

...რუსული ლიტერატურის დიდი მკვლევარი, ა. ოსტროვსკის შემოქმედების აღიარებული სპეციალისტი, პროფესორი ლევ კოგანი რეცენზიას წერს ლენინგრადიდან და მაღალ შეფასებას აძლევს ნადია შალუტაშვილის სადისერტაციო შრომას — „ოსტროვსკი ქართულ სცენაზე“. შალვა დადიანმა „შესანიშნავი გამოკვლევა“ უწოდა ქართველი თეატრმცოდის ნამოღვაწარს. გამომცემლობა „ხელოვნებამ“ წიგნად გამოსცა იგი.

მოსკოვში, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში ნადია მოსკოვის თეატრების დიდოსტატების წინაშე წარსდგა მოხსენებით — „მსახიობ თამარ ჭავჭავაძის გზა“. მოხსენება მოუწონეს, შეაქეს. რეჟისორი ი. ზავადსკი და მსახიობი ს. ბირმანი აღაფრთოვანა ახალგაზრდა თეატრმცოდნის მჭევრმეტყველებამ.

ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა ახალ-ახალი სახეები სულ უფრო რელიეფურად იკვეთებოდა ნადიას შემოქმედებაში. საყურადღებოა მისი შრომა „ძმები ზანდუკელ-სანდუნოვები“. მონოგრაფია ეხება მეთვრამეტე საუკუნის ორი საინტერესო შემოქმედის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მოსკოვსა და პეტერბურგში. ერთი მათგანია სილა ზანდუკელი-სანდუნოვი, რუსული თეატრის თვალსაჩინო კომედიური მსახიობი, ხოლო მეორე — ნიკოლოზი — მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი იურისტი და დრამატურგი იყო. ძმებმა დიდი ამაგი დასდეს რუსულ თეატრალურ კულტურას, ხელოვნებასა და დრამატურგიას. ისინი წარმოშობით ქართველები იყვნენ და კიდევაც ამაყობდნენ ამით.

ნადია შალუტაშვილის კალამს ეკუთვნის შრომები — „ლესია უკრაინკა და საქართველო“, „თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი“, „გიორგი დავითაშვილი“. მან დაწერა აგრეთვე „ანტონ ჩეხოვის დრამატურგია“, „ყაზბეგი, როგორც მსახიობი“.

ნადია შალუტაშვილის შემოქმედება საინტერესოა იმითაც, რომ იგი გვევლინება, როგორც ნიჭიერი მკვლევარი. მან გამოაქვეყნა „ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები თეატრის შესახებ“. ი. ჭავჭავაძის რეალისტური ესთეტიკა დაედო სწორედ საფუძვლად მის წერილებს თეატრზე. ილია პროპაგანდას უწევდა მოწინავე ქართული და მოძმე ხალხების დრამატურგიას და კატეგორიულად უარყოფდა გამრთობ დრამატურგიას. ამავე დროს, ნადიას მონაკვლევი მასალებით საბოლოოდ აღიარებული იქნა ილიას ავტორობა მანამდე უცნობ თექვსმეტ წერილზე. მასვე ეკუთვნის გამოკვლევა გიორგი ერისთავის ავტობიოგრაფიის შესახებ. ლიტერატურულ მუზეუმში არსებული დოკუმენტებით დადგინდა, რომ გიორგი ერისთავის ბიოგრაფია მისივე ხელითაა დაწერილი და არ ეკუთვნის უცნობ ავტორს.

შემოქმედის ღირსების საქმეა, ჩაფიქრებული თემა ოსტატურად დაიმორჩილოს, თავისად აქციოს, ჰქონდეს საკუთარი ხელწერა, სწორედ ასეთია ნადია შალუტაშვილი.

ქართულ-რუსული, ქართულ-უკრაინული კულტურის ურთიერთობის საკითხები ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, დოცენტ ნადია შალუტაშვილის შემოქმედების შთაგონების წყაროა. იგი პირადად იცნობს მრავალ რუს და უკრაინელ მოღვაწეს. მისი გზაც ხელოვნებაში დაკავშირებულია თანამედროვეობასთან.

„ძვირფასო ნადია ნიკოლოზის ასულო, დიდი მადლობა შესანიშნავი შრომისათვის — „დიადი მეგობრობის ფურცლები“, რომელიც შევა უკრაინული და ქართული ხელოვნების ისტორიის ოქროს ფონდში“. —

რ. ნიკულო.
გუცულური მელოდიები.





წერილთან ერთად ცნობილმა უკრაინელმა დრამატურგმა ა. კორნეიჩუკმა მისი დრამა „შურისძიება“ წარწერით გამოუგზავნა ნადიას.

ნადია შალუტაშვილი ამჟამად სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს, რომლის თემაა უკრაინულ-ქართული თეატრალური ურთიერთობანი რევოლუციამდელ პერიოდში.

სწორედ რომ ისტორიული ფესვები აქვს უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობას, და შემთხვევითი არ იყო დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის მიერ უკრაინაში განხორციელებული მრავალი დადგმა.

ვის ბარათს, ვის გულწრფელ სტრიქონებს არ შეხვდებით ნადიას არქივში. წერილებს უგზავნიან მეგობრები: რუსული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე ლევ კოგანი, პროფესორები: გ. ბოიაჯიევი, ვლ. ფილიპოვი, ალ. ფევრალსკი, დრამატურგები — ლევ შეინინი, ძმები ტურები, სსრ კავშირის სახალხო არტისტები: ნატალია უჟვი, ე. პონომარენკო, ლ. სერდიუკი, ე. შატროვა, რსფსრ სახალხო არტისტი ვ. აქსიონოვი, უკრაინელი მეცნიერები: ი. ვოლოშინი, მ. იოსიპენკო, პ. ტერნიუკი...

უკრაინული თეატრის ფუძემდებელის — „ბატკოს“ — მ. კროპივნიცკის იუბილეზე ნადიამ საინტერესო მოხსენება წაიკითხა: „კროპივნიცკი და საქართველო“. ეს იყო უკრაინული და ქართული თეატრების მეგობრობის დიდებული საღამო.

ცნობილი უკრაინელი მწერლის მიხეილ კოციუბინსკის თარგმანის ქართულ ენაზე არსებობა უკრაინაში არც კი იცოდნენ. ჩერნიგოვის კოციუბინსკის სახლ-მუზეუმს, რომლის დირექტორია მწერლის ქალიშვილი ირინა, ნადიამ კოციუბინსკის ლექსების ქართული თარგმანები გაუგზავნა.

მოსკოვიდან ფოსტალიონის ბარათი მოვიდა. მას წაუკითხავს ნადია შალუტაშვილის წიგნი უკრაინული და ქართული კულტურის ურთიერთობის საკითხებზე. ფოსტალიონი ნადიას რამდენიმე საკითხის დამატებით გაშუქებას თხოვდა. ავტორი არ დაზარდა და უცნობ მკითხველს სურვილი შეუსრულა. „რა სასიხარულოა, როცა უცხო ადამიანისაგან იღებ ბარათს, ისიც თხოვნით და შეგიძლია დაეხმარო მას“.

შედიხართ მის სამუშაო ოთახში. ჭერამდე აღმართულა თაროები წიგნებით. კედლებიც კი გაგრძნობინებთ ამ ოჯახის სუნთქვას, დიახ, სუნთქვას!

ნადია შინაგანი მღელვარებით გვიჩვენებს საკუთარ არქივს, მეგობართა წერილებს. იფურცლება დღეები, წლები და ეს ყველაფერი, მზრუნველი ხელით თავმოყრილი მასალა, მის მიერ განვლილი გზაა, მისი ცხოვრების ნიშანსვეტია.

დიდ მეგობრობაზე, რუსული და ქართული, ქართული და უკრაინული კულტურის ურთიერთობაზე ლაპარაკობენ ერთ სამუშაო ოთახში თავმოყრილი სერგეი ესენინისა და ვლადიმერ მაიაკოვსკის, კოტე მარჯანიშვილისა და დოდო ალექსიძის პორტრეტები, ტარას შევჩენკოსა და ლესია უკრაინკას ბარელიეფები, ირაკლი აბაშიძის, გიორგი ჯაბლაძის, დიმიტრი ჯანელიძის, ეთერ გუგუშვილის, ვანო შადურის, აგრეთვე უცხოელ ავტორთა და სხვათა მიერ ნაჩუქარი წიგნები ავტოგრაფებით.

— აი ჩემი საყვარელი გმირი, მე მიტაცებს ცხოვრება შესანიშნავი, ძლიერი ხასიათის ადამიანებისა, — ამბობს ნადია და მაწვდის მ. ვიტინის „ნიკოს ბელოიანისის“.

წიგნის ყდაზე ნიკოს ბელოიანისის პორტრეტია. გხიბლავს მისი ვაჟკაცური სახე, ტუჩებზე აღბეჭდილი ღიმილი და ირონიაც; მას ხელთ მიხაკი უპყრია და ისე ისმენს სასამართლოს განაჩენს. დგას საბერძნეთის ეროვნული გმირი ძლიერი სულითა და გაუტეხელი ნებისყოფით. „ტყუილად როდი ამბობენ ბელოიანისის შესახებ: მან ნაბიჯი გადადგა სიკვდილის წინ და ეს იყო ნაბიჯი მისი უკვდავებისაო. დიახ, მიყვარს გმირის ხასიათი“, — ამთავრებს ბელოიანისზე საუბარს ნადია.

„ძვირფასო ნადია, მე მომწონს თქვენი მომხიბლავი, კეთილი გული, წრფელი სიყვარული ხელოვნებისა. პატივისცემით ვ е р и к о а ნ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე“. ეს წარწერა გაუკეთებია დიდ მსახიობს ნადიასადმი მიძღვნილ სურათზე. მის გვერდით კრუჩინინის კოსტიუმით იუგოსლაველი მსახიობის ფოტოა.

„საყვარელ ნადიას, შესანიშნავ ადამიანს, ჩემს დიდ და გულისხმიერ მეგობარს“, — ეს აკაკი ხორავას ფოტოა ავტოგრაფით.

მაგიდაზე ახლადმიღებული ფოსტაა. იწერებიან ცნობილი უკრაინელი პოეტი და მთარგმნელი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე ოლექსა ნოვიცკი. გურამიშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი ოლექსეი იურენკო. წერილები მოდის საფრანგეთიდან, იუგოსლავიიდან, დასავლეთ გერმანიიდან. ასეა ყოველდღიურად.

ნადიას უყვარს ცხოვრების სილამაზის, მისი სიდიადის მაღალი გემოვნებით ასახვა, და ამიტომაა, რომ სამუშაო ოთახში ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, ეკატერინე ბაღდავაძის, ირინა შტენბერგის ნამუშევრებია. აქვეა თეატრალური ნიღბების კოლექცია და კოლექცია ქვებისა — რომის ფორუმი, პომპეის ლავა, სუვენირები პარიზიდან, ბელგრადიდან, ალპებში შეკრებილი ფერად-ფერადი ქვები, უკრაინული სუვენირები — სამშობლოში სამახსოვრო რელიქვიად ჩამოტანილი.

ვფურცლავ შექსპირის ტომეულს, რომელსაც ნადია მაწვდის, ვფურცლავ და აი ჩემ თვალწინ მიხაკებია, უკვე დამჭკნარი, ფერგადასული, მაგრამ მისი სიფრიფანა ფოთლები ფაქიზად შენახულა. ეს ის წითელი მიხაკებია, უკრაინის მიწაზე ქართველ ქალს გნატ იურამ რომ უსაჩუქრა. წლები გავიდა, მაგრამ პატივისცემის ეს გულწრფელი პატარა ნიშანი ნადია შალუტაშვილს საგულდაგულოდ და სათუთად შემოუნახავს.

და, მართლაც, მეგობრობამ არ იცის მანძილი!

ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოდის მეფრინველეობის ფაბრიკა-გიგანტის ხედი.

ფოტო ვ. გენგიურისა

# ხუთწლედი მოქმედებაში

გასული წლის მიწურულში ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო კოდისა და მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკა-გიგანტების ამუშავება. ისინი მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის პირმშოები არიან. მათ შეიძლება ვუწოდოთ მეფრინველეობის ქალაქები, სადაც მსხვილი, მაღალმექანიზებული საწარმოებია, სადაც ყველა სამუშაო პროცესი ავტომატიზებული და მექანიზებულია, სადაც ამ საწარმოთა მშრომელებისათვის არის კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები, სასადილოები, სკოლები, საბავშვო ბაღები, კულტურული დაწესებულებანი.

მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკას ეყოლება 200 ათასი კვერცხმდებელი ქათამი, ყოველწლიურად აწარმოებს 40 მილიონზე მეტ კვერცხს და ათობით ტონა ფრინველის ხორცს.

კოდის მეფრინველეობის ფაბრიკა-გიგანტი თბილისისა და რუსთავის მოსახლეობას ყოველწლიურად 88 ათას ცენტნერზე მეტ ფრინველის ხორცსა და დიდძალ კვერცხს მიაწვდის.

* * *

კარგად დაიწყო და შემდგომშიაც წარმატებით გაგრძელდება ხუთწლედის დიადი მშენებლობანი ჩვენს რესპუბლიკაში. ამის მაგალითად გამოდგება გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც ერთი-ორად მძლავრი იქნება კოდის ფაბრიკაზე. მისი მშენებლობა, ნაცვლად 1975 წლისა, 1974 წელს დასრულდება და მწყობრში ჩადგომის შემდეგ ყოველწლიურად 4.000.000 ბროილერს (1.400 გრამამდე გამოზრდილ წიწილს) მოგვცემს. გამარჯვების მეფრინველეობის კომპლექსი წელიწადში აწარმოებს 80.000 ცენტნერ ფრინველის ხორცს, გარდა 4.000.000 ბროილერისა, ფაბრიკას ეყოლება სადედე გუნდი 100 ათასი მოქცეულის ოდენობით და წელიწადში 16 მილიონამდე კვერცხს მოგვაწვდის.

* * *

როგორც პარტიის XXIV ყრილობამ დაგვისახა, მე-9 ხუთწლედში დიდი ყურადღება მიექცევა მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობას. ამ კომპლექსების მწყობრში ჩადგომით ჩვენ გადავჭრით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ამოცანას. მეცხოველეობის ხვალინდელი დღე — ეს არის მეცხოველეობის ინდუსტრიულ საფუძვლებზე განვითარება. იგი საშუალებას მოგვცემს მექანიზებული გახდეს ყველა სამუშაო პროცესი და შრომისა და საკვების მინიმალური დანახარჯით ვაწარმოოთ მეცხოველეობის პროდუქტების მაქსიმალური რაოდენობა.

მე-9 ხუთწლედში საქართველოში აშენდება 9 სახელმწიფო, 18 საკოლმეურნეობათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორისო და 8 საკოლმეურნეო მეცხოველეობის კომპლექსები. ამის შედეგად ხუთწლედის ბოლოს საქართველოში ხორცის წარმოება გაიზრდება 40 პროცენტით, რძისა — 49 პროცენტით.

სწრაფად მიმდინარეობს მეღორეობის სახელმწიფო კომპლექსის მშენებლობა საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის ტრიალ მინდორზე. იგი 1972-1973 წლებში ამუშავდება და ყოველწლიურად მოგვცემს 2.800 ტონა ხორცს, რაც ორჯერ აღემატება 1970 წელს რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ წარმოებულ ხორცს.

გიორგიწმინდის მეღორეობის ფაბრიკაში ყველა სამუშაო პროცესი მექანიზებული იქნება და თეთრხალათიანი მეცხოველეები მხოლოდ მანქანების ზედამხედველნი იქნებიან.

* * *

თეთრი-წყარო-მარნეულის გზის ხელმარჯვნივ ოთხი თექვსმეტმეტრიანი კოშკია აღმართული, რომელთა ტევადობა 200 ტონაა. ეს სასენაჟე კოშკებია. თელეთელებმა რესპუბლიკაში პირველებმა აითვისეს მაღალყუათიანი საკვების წარმოება. ამ კოშკების გვერდით ხარაჩოებია. შენდება თელეთის მეცხოველეობის კომპლექსი, რომელიც 1972 წელს გადაეცემა საექსპლოატაციოდ და ყოველწლიურად 2.800 ტონა რძეს მოგვცემს. კომპლექსის შესასვლელში მოთავსებული იქნება სანიტარული კვანძის შენობა. აქვე იქნება ავტომატურად მართვის ცენტრი სატელევიზიო კამერით. ფერმის გამგე ან ბრიგადირი ტელევიზორით მიადევნებს თვალყურს, როგორ მიმდინარეობს შრომის პროცესები და მისცემს მითითებებს. ამ შენობაშივე იქნება აბანო, გარდერობი, ბუფეტი და სხვა დანიშნულების ოთახები.

ერთ-ერთი მთავარი განყოფილება იქნება სარძევე ბლოკი, სადაც დამონტაჟდება „ტანდემის“ ტიპის ელექტრომექანიკური საწველი დაზგა. მისი გამოყენებით ერთდროულად მოიწველება 48 ფური. ამავე შენობაში იწარმოებს რძის პირველადი გადამუშავება. აშენდება ფარდულები საკვებურებით, რომელთაც ექნება გასასეირნებელი მოედნები.

აშენდება სახბორე განყოფილება 800 სულისათვის, სამშობიარო — 100 ფურისათვის, იზოლატორი სხვადასხვა ვეტერინარული ღონისძიებებისათვის.

მე-9 ხუთწლედის დიადი მშენებლობანი სოფლად აღმავლობით მიმდინარეობს, მათში მონაწილეობენ საქართველოს სოფლებისა და ქალაქების მშრომელები. ყველგან შრომითი ენთუზიაზმია. ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მშენებლები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დროზე და მაღალხარისხოვნად შეასრულონ სამშენებლო სამუშაოები, მწყობრში ჩააყენონ მეცხოველეობისა და რძის სახელმწიფო კომპლექსები, რომლებიც 1975 წლისათვის საქართველოს მშრომლებს მისცემენ 10.000 ტონამდე ხორცს, 14.000 ტონამდე რძეს.

ანზორ აბულაშვილი

## თბილისის დილა

დილა მღერის თუ
ასი მერძევე,
ასი წყნეთელი უკრავს საზანდარს.
მარტი ქუჩაში მყიდის ენძელებს,
ისევ ძველი აქვს ყვავილს მაზანდა.
ყვავილი იგი ყოვლის შემძლეა, —
ის ერთი კონა ლურჯი კოცონი.
სოფლელი ბიჭი მყიდის ენძელას,
გადავარცხნია შავი ქოჩორი...
წუთით სხვა ქარი შემოიჭრება,
მინდვრებო,
წუთით დაგიბრუნდებით,
მე ცხადად ვხედავ მეზობლის ბიჭებს:
კეფაზე ჰხურავთ ნაბდის ქუდები.
შორს მწვერვალი დგას
რძის თეთრ ბოთლივით,
იქით და აქეთ ისმის ძახილი
და ერთიანად გადაორთქლილი
გზაზე ზმუილით მიდის ნახირი.
აქედან ვხედავ დილას სოფლისას,
იქ მთაც და ველიც მიმზიდველია,
ენძელებს სერი გადაუჭორფლავს,
ქალაქებისკენ იმზირებიან...
და ერთხელ,
როცა სოფელში ჩავალ,
სერზე უთუოდ მოვკრეფ ენძელებს,
მე მოვიგონებ მაშინ ჩემს ქალაქს,
როგორ მაღვიძებს დილით
მერძევე,
გამოცოცხლდება ეს დილა წამით,
აურზაური მდუღარ ბაზართან,
მივეფერები იმ ლამაზ ყვავილს,
ვინც არ დაკარგა ძველი მაზანდა.
მომაგონდება შუქი ამა მზის,
ბრდღვიალა დილას იმის შუშპარი,
თბილის-ქალაქის ბევრი ლამაზი,
სოფლელი ბიჭის ყველა მუშტარი.

რუსუდან მაერვალიშვილი

## შვილს

ფიქრია — ჩემი სუნთქვა და ნიჭი,
ფიქრია — ჩემი პური და სარჩო,
მე არა გკითხავ, ისედაც ვიცი,
რა უფრო მოგწონს,
გხიბლავს და გართობს...

რატომ ხარ აგრე კუშტი და კერპი, —
საიდან მოგაქვს ეს მკაცრი მზერა,
მაგ შენი სისხლის დინებას ვერთვი,
შენს მაჯისცემას ვარკვევ და ვზვერავ.

გახვალ სახლიდან,
გადევნებ რჩევას,
მსურს შენით შევქმნა განძი ულევი...
ხელებდაკოჟრილ იმ გლეხსა ვგავარ,
რომ ტკბება თავის ანეულებით.

შენ სკოლის კედლებს ვესათუთები, —
ათასჯერ ვტკეპნი მე იმ ნიადაგს,
სადაც დახვალ და ნორჩი თითებით
ფიქრებს გადაშლი... და ძველ „იადგარს!“

მივყვები ქუჩებს ჩუმი ოცნებით,
გძერწავ და გამკობ, პატარავ, — ჩვილო!
ციხე-ტაძრებით, მაღალ კოშკებით...
გაგელამაზოს საწუთრო, შვილო.

სხვა განძეული არ მინატრია,
და არც ცხოვრება სხვა ნეტარების:
გული ჩირაღდნად შენთვის ანთია,
და გვერდს აგივლის ავი ქარები.

ჩემს გულს გაგიშლი წასაკითხ წიგნად,
შენი მომავლის ვარ მოთვალთვალე,
გქონოდეს მარად სინდისი წმინდა,
მის სამსახურში ახელდე თვალებს!

მაყვალა პატარკაციშვილი

## გაზაფხული

აპრილმა
ჯერ ნაზად კვირტები გადაკოცნა...
მერე კი ეს ნუშები სულ მთლად გადარია...
სიცოცხლე!..
სიცოცხლე!..
ილვიძებს ბუნება!..
მერცხალთა გუნდებიც უკვე აქ არიან!
მერცხალი გაზაფხულის მუდმივი მაყარია...
სიცოცხლე აპრილში
ლამაზი ზღაპარია...

# მეხუთე საკავშირო

თბილისში, თებერვლის ბოლო რიცხვებში, ჩატარდა V სრულიად საკავშირო კინოფესტივალი.

ფესტივალში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის 39 კინოსტუდია, ყველა რესპუბლიკის კინოსტუდიათა წარმომადგენლები, მოძმე სოციალისტური ქვეყნების კინემატოგრაფისტთა დელეგაციები, საბჭოთა კინოს თვალსაჩინო რეჟისორები, ოპერატორები, სცენარისტები და მსახიობები.

ქართველმა მაყურებლებმა და სტუმრებმა ნახეს 24 სრულმეტრაჟიანი მხატვრული და 30-მდე მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

თბილისის ფესტივალზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ ახალი ფილმები, რომელიც მაყურებელს ჯერ არ ენახა, ამიტომ ეწოდა ამ ფესტივალს — „პრემიერების ფესტივალი".

ფილმები ფორმითა და შინაარსით სხვადასხვაგვარია, მაგრამ მათ აქვთ ერთი საერთო ხაზი — ნაჩვენებია ჩვენი თანამედროვეობის მწვავე პრობლემები, შექმნილია საბჭოთა ადამიანის სახეები, გაშუქებულია მათი ცხოვრება და საქმიანობა.

V საკავშირო კინოფესტივალის ჟიურიმ გამოავლინა 1972 წლის საუკეთესო ფილმები.

აღვნიშნავთ მხოლოდ მთავარი პრიზებითა და პრემიებით დაჯილდოებულ ფილმებს და ჩვენი რესპუბლიკის წარმატებებს ამ ფესტივალზე.

ფესტივალის მთავარი პრიზი და პრემია მიეკუთვნა კინოეპოპეა „განთავისუფლების" დამამთავრებელ ფილმებს: „ბრძოლა ბერლინისათვის" და „უკანასკნელი შტურმი" („მოსფილმი").

პრიზები და პრემიები ეკრანზე სახალხო გმირული ეპოსის ტრადიციების დამკვიდრებისათვის მიენიჭათ კინოფილმებს „ზაქარია ბერკუტი (დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდია) და „რუსტამი და სუხრაბი" (კინოსტუდია „ტაჯიკფილმი").

პრიზი და პრემია თანამედროვე საბჭოთა ადამიანზე შექმნილი საუკეთესო კინოსურათისათვის მიენიჭა ფილმს „წუთისოფელი" (კინოსტუდია „ქართული ფილმი").

პრიზი და პრემია საუკეთესო საბავშვო და ახალგაზრდული ფილმისათვის მიეკუთვნა კინოფილმ „ოჰ, ეს ნასტია" (მ. გორკის სახელობის საბავშვო და ახალგაზრდული ფილმების ცენტრალური სტუდია).

დიპლომი და პრემია კინოკომედიის ჟანრის დამუშავებაში შეტანილი წვლილისათვის მიეკუთვნა დამდგმელ რეჟისორს ლეონიდ გაიდაის (კინოსტუდია „მოსფილმი") და დამდგმელ რეჟისორს თენგიზ აბულაძეს (კინოსტუდია „ქართული ფილმი").

დიპლომი და პრემია საუკეთესო სცენარისათვის მიენიჭა ვალენტინა სპირინას ფილმის „ოჰ, ეს ნასტია" — სცენარის ავტორს (მ. გორკის სახელობის საბავშვო და ახალგაზრდული ფილმების ცენტრალური სტუდია) და სულიკო ჟღენტს ფილმის „წუთისოფლის" სცენარის ავტორს (კინოსტუდია „ქართული ფილმი").

დიპლომი და პირველი პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიეკუთვნა კინოფილმ „წუთისოფლის" (კინოსტუდია „ქართული ფილმი") მთავარი როლის შემსრულებელს კინომსახიობ სოფიო ჭიაურელს.

დიპლომი და პირველი პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიენიჭა ფილმის „ისიკ-ყულის წითელი ყაყაჩოების" (კინოსტუდია „ყირგიზფილმი") მთავარი როლის შემსრულებელს კინომსახიობ სუიმენკულ ჩოკმოროვს.

პრიზი და პირველი პრემია საუკეთესო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისათვის მიეკუთვნა ფილმებს „ნარინის დღიური" (კინოსტუდია „ყირგიზფილმი") და „ამერიკის გზა" (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია).

პრიზი და პირველი პრემია საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის მიეკუთვნა ფილმს „მემაღლიეები" (საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია).

პრიზი და მეორე პრემია — საუკეთესო მოკლემეტრაჟიან ფილმს — „ოქროს საწმისი" (საქართველოს სამეცნიერო პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია).



ფესტივალის საზეიმო დახურვა

ფოტო ე. ხუციშვილისა




ფესტივალის ჟიურის წევრები



მხატვრული ფილმების ჟიურის თავმჯდომარე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ბ ო ნ დ ა რ ჩ უ კ ი
პრიზს გადასცემს ფილმ „წუთისოფლის" დამდგმელ რეჟისორებს —
მამა-შვილს შ. და ნ. მ ა ნ ა გ ა ძ ე ე ბ ს.



# ჩვენი თანამემამულე

ძნელია აუღელვებლად უცქირო სურათს, რომელზეც აღბეჭდილია პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა, რომელსაც ოსი ქალების მიერ ნაბოძები თეთრი თავშალი წამოუსხამს. მის გვერდით კი სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული ჭაღარა ქალი დგას.

ეს სოფიო სალამოვაა, ჩვენი თანამემამულე, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი და ამიერკავკასიაში სამხედრო-სამედიცინო სამსახურის პირველი პოლკოვნიკი ქალი.

ისინი ერთმანეთს 1966 წლის შემოდგომაზე შეხვდნენ ოსეთის ქალთა ყრილობაზე, ქ. ორჯონიკიძეში: პირველი ქალი, რომელმაც კოსმოსში იფრინა და მთიელ ქალთა შორის პირველი ქალი, რომელმაც ოცდაათზე მეტი წლის წინათ დაამთავრა კიროვის სახელობის სამხედრო-სამედიცინო აკადემია.

განა შეეძლო ქალს რევოლუციამდე ეოცნება ასეთ ბედზე?.. 54 საბჭოური წელი უფსკრულივით მიჯნავს წარსულის მთიელ ქალს, მთის ადათებით და რელიგიური ცრურწმენებით დაბეჩავებულს, სოციალიზმის მიერ განთავისუფლებული დღევანდელი ოსი ქალისაგან.

სოფიო ბესარიონის ასულის ცხოვრება ამის ნათელი დადასტურებაა. ობოლი გოგონა შორეული დარგავის ხეობიდან, მხოლოდ ოცნებობდა რომ ოდესმე ექიმი გამხდარიყო. საბჭოთა ხელისუფლება დაეხმარა მას ოცნების ასრულებაში. თხუთმეტი წლისა, იგი კომკავშირმა ლენინის სახელობის მუშფაკში გაგზავნა სასწავლებლად, შემდეგ კი სწავლა განაგრძო სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, 1929 წელს აქ იგი ერთადერთი ქალი იყო კავკასიიდან. ღიმილით იგონებს სოფიო ბესარიონის ასული თუ როგორ ურჩევდნენ ნათესავები სწავლისათვის თავი დაენებებინა, როგორ გაუძნელდა შეჩვეოდა სამხედრო ფორმას... და როგორ მოუხდა განშორებოდა მსხვილ ნაწნავებს.

გულზე მძიმე ლოდად აწევს თეთრფინელებთან ბრძოლისა და სამამულო ომის მოგონებები. ზარბაზნების ქუხილი, დაჭრილთა კვნესა, სისხლი და სიკვდილი, საყვარელი ქმრის დაღუპვა...

რამდენი სიცოცხლე გადაურჩენია ამ გულმაგარ ქალს!

დამთავრდა ომი. სოფიო სალამოვა კი კვლავ დაავადებების და სიკვდილის წინააღმდეგ იბრძვის. 35 წელი იმსახურა მან საბჭოთა არმიის რიგებში. ეს წლები ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და უმაგალითო მამაცობის წლებია, მშვენიერი და საამაყო სიცოცხლის წლები.

— ვალენტინა ტერეშკოვასთან, შეხვედრა ყველაზე ამაღელვებელი და შთამბეჭდავია, ეს მთელი სიცოცხლის მანძილზე დამამახსოვრდება. გულთბილი და მომღიმარი, იგი სიამაყით გივსებს გულს, — ამბობს სოფიო სალამოვა.

ეს ფოტოსურათი ყოველთვის მოაგონებს მას ამ შესანიშნავ შეხვედრას და განა მარტო ეს?.. წიგნი ავტოგრაფით — „ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით. ვ. ტერეშკოვა. 4.10.66“ და ბევრი, ბევრი და მუდამ გულთბილი საზეიმო მილოცვები.

ირინა ძუცოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს ფსიქიატრთა და ნევროპათოლოგთა საზოგადოების ფსიქიატრიული სექციის თავმჯდომარეს, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრს, აკადემიკოსების — თარხნიშვილისა და ბეხტერევის პრემიების ლაურეატს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს ავლიპ დავითის ძე ზურაბაშვილს 70 წელი შეუსრულდა.

გამოჩენილი ფსიქიატრის ავლიპ ზურაბაშვილის ხელმძღვანელობით ქართული ფსიქიატრული სკოლა სერიოზულ მეცნიერულ კვლევებს აწარმოებს დღემდე უკურნებელ სენად მიჩნეულ — შიზოფრენიის სფეროში.

გულითადად მივესალმებით ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს, ვუსურვებთ კიდევ მრავალი ათეული წლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, ვუსურვებთ იმ პრობლემების წარმატებით გადაჭრას, რასაც ასე უანგაროდ ემსახურება დიდი მეცნიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედამთილი

მოთხრობა

სალამოს, მარტოდ დარჩენილი დედა ქეთევანი ქსოვდა და დრო ამით გაჰყავდა. საათს მალიმალ დახედავდა, ყური კარისაკენ ჰქონდა მიპყრობილი: „აი, ახლა შემოვა ლევანი, ბინას გამიმხიარულებსო“. მაგრამ გახდა ცხრა, ათი საათიც, იგი კი არ ჩანდა. საქსოვი უკვე არ ამშვიდებდა და გადასდო. ოთახში ფუსფუსი დაიწყო. ლოგინები მოამზადა.

ამ ბოლო დროს ლევანს დაგვიანება დასჩემდა. დედა რომ შეეკითხება, სად იყავიო, შვილი პასუხობს — ამხანაგთანო. იმას კი არ ამბობს, რომელ ამხანაგთან.

— ხომ იცი, შვილო, მარტო ვარ, შენს მეტი არავინ გამაჩნია. ხანდახან ამხანაგი ჩვენთანაც მოიყვანე.

— ჰო, დედა... — უპასუხებს, თავის მართლებას არ დაიწყებს.

ქეთევანი ეჭვმა შეიპყრო, ვინმე ქალიშვილს ხომ არ ეტრფიალებაო. თუმცა, დედა შვილს ხშირად აგონებდა, უკვე ოცდაათ წელსა ხარ მიღწეული და დროა, დაცოლშვილდეო, მაგრამ ახლა საეჭვო მდგომარეობა რომ შეიქნა, შვილს ვერაფერს ეუბნებოდა... სანამდე უნდა აეტანა მარტოობა?!

ლევანი უკვე თავის სახლთან იყო მისული, მაგრამ ფეხს ითრევდა. წუხდა, დედა საყვედურით შემხვდებაო. სანამდე იმეოროს არაფრისმთქმელი „ამხანაგთან ვიყავი“. ბოლოს და ბოლოს ეტყვის და გაახარებს. გაახარებს კი?.. იქნებ, გული გაუსკდეს... ცოლი ვის არ შეურთავს, მაგრამ ასეთი „მზითვით?!“

აქამდეც ბევრი უფიქრია ამაზე, მაგრამ მობეზრდა ასეთი ყოყმანი. ცოლის მოყვანას რომ აგვიანებდა, დედასთან თავს ასე იმართლებდა: ცოტად თუ ბევრად მოვღონიერდები და მაშინ შემოვიყვან ოჯახში მეგობარსო.

„ერთის შემოყვანას ფრთხილად ვეკიდებოდი, ახლა ერთბაშად სამ ადამიანს რომ შევაგრიალებ ოჯახში, ხომ გადაირევა დედაჩემი. შეიძლება, საყვედური არ მითხრას, მაგრამ გულდათუთქული კი შემომხედავს“.

არა და რა ქნას?.. ბავშვებიანია, მაგრამ ასე ძლიერ რომ უყვარს ეთერი? როგორ დასთმოს მისი მეგობრობა... ნუთუ სიყვარული ისეთი გრძნობა გახდა, რომ სასწორზე აიწონ-დაიწონოს?!

„ამდენი სულის შენახვა გაგვიჭირდება?.. ცხოვრება მხოლოდ დალხინება ხომ არაა?!. ორივე ვიმსახურებთ...“

„ბავშვებს დედა მოუვლის, არა? მერე ხომ კიდევ შეგეძინებათ ბავშვი?.. რა კარგი გასართობი ექნება დედაშენს!“ — თითქოს ჩასჩურჩულებს ვიღაცა ყურში.

როგორ მოიქცეს?.. მალე ეთერი მესამე ბავშვის დედა გახდება.

აი, თურმე როგორი ყოფილა სიყვარული, რომელსაც ასე თავდავიწყებით უმღერიან. ლევანმა რომ ცალკე ოჯახად იცხოვროს?.. დედა ვერ აიტანს ერთადერთმა შერჩენილმა შვილმაც რომ მიატოვოს.

არა, მარტო თვითონ ამ მდგომარეობას თავს ვერ დააღწევს. როგორც ბავშვობისას იცოდა, დედას გულში ჩაეკრობა, თავის გაჭირვებას შეულამაზებლად უამბობს, დაე, დედამ თავად განსაჯოს, შვილი როგორ მოიქცეს...

ასე გადაწყვიტა. და, თუმცა საკმაოდ გრილოდა და ქარიც უბერავდა, სახეზე ოფლი შეიმშრალა.

ზარი დარეკა. დედა გამოეგება.

— მოშიებული იქნები, შვილო... საჭმელი გელოდება... — საყვედური ასე გამოხატა ქეთევანმა.

— არა, არა მშია, დედი... დაღლილი ვარ. დავწვები.

დედას უნდოდა, შვილი სალაპარაკოდ გამოეწვია, მაგრამ შიშობდა, ძილი როგორ დავუფრთხოო. ლევანს კი სურდა დედას საყვედური ეთქვა, გატყდომოდა ბარემ, ეთქვა თავისი საწუხარი. ორივე დუმდა.

ლევანს უცებ გული მოუვიდა. დედა თითქოს განზრახ იქცეოდა ასე. ადრე მოვიდოდა თუ გვიან, ეს თითქოს სრულიად არ აწუხებდა.

— დედა, რატომ არ მიწყრები, შინ რომ გვიან მოვდივარ? პატარა რომ ვიყავი, გახსოვს, დაგვიანებისთვის როგორ მტუქსავდი ხოლმე?

— პატარებს ტუქსავენ, შენ კი ახლა ისეთი ასაკისა ხარ, რომ თვითონ შენს პატარებს უნდა ტუქსავდე.

— იქნებ, მყავს უკვე პატარები, რატომ არაფერს არ მეკითხები? აბა, ახლა მე თვითონ გიამბობ... — და დედას სულმოუთქმელად უამბო ყველაფერი.

— ვიცი, დედა შვილს ასეთ შემთხვევაში რას ეუბნება... კარგად ვიცი... ცხოვრების გართულება... და სხვა მრავალი მოსაზრება. ამ წუთში ნურაფერს მეტყვი... თუ მოისურვებ, ეთერს გაგაცნობ... ეს კი იცოდე, შენს ნებადაურთველად აქ, ჩვენს ოჯახში, არავის შემოვიყვან... სხვაგან ვიცხოვრებთ.

— რას ამბობ, შვილო?! — დედას ცრემლები მოერია, — აბა, ვისთვის მოვაწყვე ეს ოჯახი!..

— დედა, დედა! ახლა არაფერი მითხრა ნაჩქარევად...

* * *

სამსახურის შემდეგ ლევანმა ეთერი დედას მიუყვანა. ოთახში შესული რძალი კართან დადგა, დამორცხვებული იყო და დედამთილს თვალს ვერ უსწორებდა. შემკრთალი ქეთევანიც გაშეშებული იდგა, მთელი არსებით დაძაბული. სურდა მიმხვდარიყო — მის წინაშე ისეთი რძალი იდგა, როგორზედაც ოცნებობდა?..

დედამთილმა რძალს აკოცა...

თვალცრემლიანნი ერთმანეთს რომ გაშორდნენ, ქეთევანმა თქვა:

— კეთილი იყოს, შვილო, შენი ფეხი ჩვენს ოჯახში...

უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა... უხერხულებისაგან რომ თავი დაეღწიათ, ლევანმა დედას უთხრა:

— დედა, გვშია. მე სუფრას მივხედავ, შენ კერძი გამოგვიტანე.

ქეთევანმა ოდნავი შვება იგრძნო, საქმე რომ გაუჩნდა.

რძალ-დედამთილის შეხვედრა უმტკივნეულო არ ყოფილა, მაგრამ არც აუტანელი. დედამ ღვინოც კი გამოიტანა, შვილი და რძალი ადღეგრძელა.

* * *

ეთერისთვის ყველაზე მძიმე წუთი ის იქნებოდა, როცა მცირეწლოვანი შვილებით დედამთილის კარ-მიდამოს მიადგებოდა. სულ ფეხს ითრევდა, სახვალიოდ სდებდა წასვლას. რა არ მოიმიზეზა: ეს გარეცხვაო, ეს გაუთოვებაო, მთავარი კი ის იყო, — თავისი ოჯახის მიტოვება ეძნელებოდა.

ლევანი დაიღალა ამდენი ლოდინით და ეთერს მტკიცედ უთხრა:

— ჩემო კარგო, შენ მიზეზი არ დაგელევა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაჩემსაც გული გაუწყალდა. ხვალ კვირაა, მოემზადე და წაგიყვანთ.

ეთერს მთელ ღამეს არ უძინია, მართალია, დედამთილს წინააღმდეგობა არ გაუწევია, რომ რძალი ბავშვებიანად მისულიყო ოჯახში, მაგრამ მერე როგორ მოეპყრობა?.. როგორ დასდოს სასწორზე შვილების ბედი!.. უცბად ამდენი საზრუნავი არ გააბოროტებს მოხუცებულ ადამიანს?! — ღვიძლი შვილიშვილების მოვლა ეძნელება ზოგჯერ ბებიას. ან ბავშვები როგორ შეეგუებიან ახალ ადამიანს? ეთერმა ველარ გაძლო ლოგინში, წამოდგა, სინათლე აანთო, ბავშვებს საბანი გაუსწორა. წყნარად ეძინათ. ორივეს მიუალერსა.

ეთერის დედა სინათლემ გამოაღვიძა.

— რა მოხდა?

— ძილი გამიტყდა.

— მოდი, შვილო, ჩემთან.

ეთერი დედის საწოლზე ჩამოჯდა.

დედა ეალერსებოდა აწრიალებულ ქალიშვილს. ორივე ტიროდა. მერე კარგა ხანს იჩურჩულეს...

კვირა საღამოს ლევანი ტაქსით მივიდა ეთერის წასაყვანად. სახელდახელო ბარგი გაიტანა და ეთერს ელოდებოდა მანქანასთან. ქალს მოსვლა დაუგვიანდა, ხელმოკიდებული გოგი მოჰყავდა.

— ციალა? — შეეკითხა ლევანი.

— ლევან, რა ვქნა, არ შემიძლია, ორი ბავშვით დედაშენთან ვერ მივალ, ერთის წაყვანაც მიჭირს.

— ეს საკითხი ხომ მოწესრიგებულია...

— კი, მაგრამ მე მაინც არ შემიძლია...

— შენ არ შეგიძლია, მაგრამ ბავშვი?..

— ხშირად ვინახულებ... დედაჩემი ჩემზე უკეთესად მოუვლის.

— ეს ისევ ართულებს ჩვენს, უკვე მოგვარებულ ცხოვრებას.

— სულ არ წამოვალ, სხვანაირად არ შემიძლია...

— ჩქარა გავემგზავროთ, მეზობლები მოგვჩერებიან...

მანქანაში ერთმანეთისთვის სიტყვა არ უთქვამთ.

დედა შეეგება მოსულებს, გოგი ხელში აიყვანა და აკოცა:

— რა კარგი ბიჭუნაა!

ლევანმა ოთახში ბარგი შემოიტანა.

— გოგონა? — ჰკითხა დედამ ლევანს.

შვილმა პასუხი დააყოვნა. არც ეთერი იღებდა ხმას.

— გოგონამ ბებიასთან დარჩენა ისურვა... — ძლივს თქვა ეთერმა. ცრემლი კი ვერ შეიკავა.

— მე დედა არა ვარ და შვილები არ გამიზრდია?! როგორ იქცევით, ლევან?.. განა გოგონა დედის გულს უნდა მოვგლიჯო?! არა, ეს არ მოხდება... აქ დედასთანაც იქნება და ახალ ბებიასთანაც... აბა, ჩქარა, ფეხს ნუ ითრევ, წადი, მოიყვანე...

118/3



მხატვარი ნინო ჭაალიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო შ. იაკობაშვილისა

# მარჯვენას უქებენ

ჩვიდმეტი წელია ლეილა კვარჭაია და ნადია აშორდია ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში მუშაობენ. ლეილა მქსოველია, ნადია — მემასრე. მოსვლის დღიდანვე ქალიშვილებმა კომბინატი მეორე ოჯახად იგულეს. დილით მზის ამოსვლას ასწრებდნენ და სამუშაოზე მიიჩქაროდნენ, მერე გვიან საღამომდე რჩებოდნენ და დაზგებს ჩაკირკიტებდნენ. ყველა საქსოვ დაზგასთან შედარებით ხალიჩების საქსოვი დაზგა რთულია. ეს იციან კომბინატის ფეიქრებმა და ახალმოსულებს ყოველთვის მხარში უდგანან, დაზგისა და საქმის სირთულემ გული რომ არ გაუტეხოს, არ დაჯაბნოს დამწყები ფეიქარი. ლეილას მისი უფროსი ძმა, მოწინავე მქსოველი შალვაც უზიარებდა თავის გამოცდილებას.

ბეჯითი ქალიშვილი მოთმინებით ეუფლებოდა პროფესიას. კომბინატის დირექციამ იგი კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოსკოვში, ლიუბეცის საქსოვ კომბინატში მიავლინა. მისი ხელის სისწრაფემ და თვალის სიმახვილემ განცვიფრებაში მოიყვანა მოსკოველი მასწავლებლები. დახელოვნებული ოსტატი დაუბრუნდა მშობლიურ კომბინატს. ლეილას ნადიასთან ერთად დაზგა ჩააბარეს. ფეიქრისა და მემასრის შრომა განუყოფელია. ლეილა ერთი ხელის მოსმით პოულობს ჩაწყვეტილ ძაფს. ნადია, რომ ქსოვა არ შეფერხდეს, თვალის დახამხამებაში

ნაკვავს გაწყვეტილს, ცვლის მასრებს. მეგობრებმა დღეში გეგმით გათვალისწინებული 3,8 გრძივი მეტრის ნაცვლად 9 გრძივი მეტრი ხალიჩა ჩააბარეს სახელმწიფოს. ქალიშვილები ნიჭითა და საქმისადმი სიყვარულით კომბინატის რჩეულნი გახდნენ, მათ კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდება მოიხვეჭეს.

ლეილამ ახლა საამქროს ყველა წევრზე დაიწყო ზრუნვა. მან თავისი გამოცდილება ბევრ ახალგაზრდას გაუზიარა. საამქროს კომკავშირელებმა გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, ხარისხი. თვალს იტაცებს ორნამენტები, ერთმანეთთან შეხამებული მწვანე, წითელი, ლურჯი ფერებით მოჩითული ხალიჩები.

მაღალი მხატვრული გემოვნებით გაფორმებულმა ხალიჩებმა შვეიცარიაში საბჭოთა საექსპორტო საქონლის გამოფენაზე ბევრ უცხოელს მოსტაცა თვალი. გამოფენის გახსნის დღესვე ხალიჩები ავსტრიიდან ჩამოსულმა კომერსანტებმა შეისყიდეს. დიდი მოწონება დაიმსახურა ლეილასა და მისი თანატოლების მოქსოვილმა ხალიჩებმა — „თუშურამ“ და „ალვანურმა“ ბრიუსელისა და პარიზის გამოფენებზე.

„ძალიან კარგია, რომ ვისწავლეთ ასეთი რთული და ლამაზი ხალიჩების ქსოვა მექანიზებული ხერხით“ — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, როცა მან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა დაათვალიერა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამ შეფასებამ ფრთები შეასხა მოწინავე ფეიქრებს. ლეილა კვარჭაიამ კიდევ უფრო დიდი შემართებით დაიწყო მუშაობა.

1971 წელს ხელმარდი ქალიშვილი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. პარტიის რიგებშიც მიიღეს. ახლა უფრო მეტი ვალდებულების წინაშე დადგა იგი, მეტი მოთხოვნილება წაუყენა საკუთარ თავს და ხუთწლედში გათვალისწინებული პირადი საწარმოო დავალების შესრულება ოთხ წელიწადში იკისრა, გეგმით გათვალისწინებული 41.188 გრძივი მეტრის ნაცვლად, 52.538 გრძივი მეტრი ხალიჩის მოქსოვა ივალდებულა.

ლეილა კვარჭაიას ამ თაოსნობას კომბინატში ორასზე მეტი მიმდევარი აღმოუჩნდა. მუშები ფართოდ ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. დაიწყო ბრძოლა მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

შარშან, სამ თვეში ლეილას 3.960 გრძივი მეტრი ხალიჩა უნდა მოექსოვა, მან კი 8.160 გრძივი მეტრი ხალიჩა მოქსოვა და გეგმა 206 პროცენტით შეასრულა.

მიმდინარე წლის გეგმა ლეილამ უკვე გადაჭარბებით გაანაღდა და ახლა უმაღლესი ხარისხის პროდუქციას 1973 წლის ანგარიშში უშვებს. ეს კომუნისტი ფეიქრის დიდი გამარჯვებაა.

ვარჯვენა შევუქოთ საამაყო ქალიშვილს.

**ოლია რევია**

# პატარებისათვის

ეთერ ქორქოლიანი

# ცალყურა

ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მთა. მთაზე ერთი ქოხი იდგა, შიგ ორი ბაჭია ცხოვრობდა. ბაჭიებს ჰქონდათ ორი ყური, ორი თვალი და ჰყავდათ ერთი დედა. ერთს ესმოდა დედის ნათქვამი, მეორე კი დედის სიტყვას ერთ ყურში შეუშვებდა, მეორეში გაუშვებდა. ერთი სულ იმას ცდილობდა დედის დარიგება იმწამსვე ყურადეღო, მეორე კი ხელს ჩაიქნევდა, თავს მაღლა ასწევდა და ღიღინით გაუყვებოდა ბილიკებს.

ამიტომ დედამ პირველს „ორყურა“ შეარქვა, მეორეს კი — „ცალყურა“.

ერთ დღეს ტყეში ხმა დაირხა: კვირას ბაჭიების ველოსიპედით გადარბენა ჩატარდება, შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ცხრამთის ბაჭიებიო.

შეიქნა მითქმა-მოთქმა, სამზადისი, აშრიალდნენ ხის ფოთლები, აჩურჩულდნენ ბაბუაწვერები, აღიღინდნენ ყვავილები...

— აბა, შვილებო, შეჯიბრება მალე იქნება, მოემზადეთ! — დაარიგა დედამ შვილები.

— რა მომზადება მინდა, ველოსიპედს ჩემსავით ვერავინ ვერ ატარებს! — იქვე მოუჭრა ცალყურამ.

— ტარება ერთია, მომზადება მეორე, კარგად გაწმინდეთ, დაზეთეთ, რომ ჟანგი არ მოეკიდოს!

— მოეკიდოს მერე! — ხელი აიქნია და ბილიკებს ღიღინით გაჰყვა ცალყურა.

— შვილო, ჟანგი შეჭამს და ველოსიპედი დაიშლება! — დაიწია დედამ. მაგრამ ცალყურა, რისი ცალყურა იყო დედის სიტყვა რომ მოესმინა?! სამაგიეროდ ორყურა დატრიალდა, ველოსიპედი დაშალა და ისე გაწმინდა, რომ სარკესავით კრიალი დააწყებინა. ცალყურას ველოსიპედს კი ბებერი მუხის ფუღუროში ჟანგი ეკიდებოდა.

და აი, დადგა შეჯიბრების დღეც.

მოედანზე შეჯიბრების მონაწილეებმა მოიყარეს თავი. ისე ბრწყინავდა მათი ველოსიპედები, რომ თვალს ვერ გაუსწორებდით. კუთხეში კი ცალყურა იდგა და ჟანგმოკიდებულ ველოსიპედს მინდვრის ფერადი ყვავილებით რთავდა.

— ხა, ხა, ხა, — ჩამოსძახა კაჭკაჭმა — ყვავილებით გინდა ჟანგის დამალვა?!

— სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჰყოფ, შენიც გაქვს გასაკეთებელი! — შეუწყრა ბაჭია.

— იქნებ თაიგული მოგიმზადო, ფინიშთან პირველი რომ მიირბენ! — ჩაიცინა კაჭკაჭმა და ლამაზი ჭრელი ფრთები გაშალა.

— რატომაც არა — შეიფერა ცალყურამ.

— მოემზადეთ! — გაისმა მწვრთნელის ხმა და ყველა დაიძაბა. — ერთი, ორი სამი! — დაიძახა და წითელი ალამი ხელში შეატრიალა. ერთად მოწყდნენ ადგილს ცხრა მთის ველოსიპედისტები, ტყის ბილიკებზე მზის სხივებით აპრიალდა სუფთად გაწმენდილი ბორბლები და სახელურები.

— რა კარგია, ვაშა, ბიჭებო! — შრიალით მიაცილებდნენ ბალახები, ბაბუაწვერები, ყვავილები და ლამაზად ხრიდნენ ნამიან თვალებს, უცებ საოცარი ჭრიალი გაისმა.

— ეს ვინ არის, ბოლოში რომ მოჩანჩალებს! — გაიკვირვეს ყვავილებმა და გზას დაკვირვებით გახედეს.

სულ ბოლოს ველოსიპედს ცალყურა „მოაქროლებდა“ ცალი ბორბლით. უკანა ბორბალი ჟანგს შეეჭამა და მოსახვევში დარჩენილიყო.

— ჰა, ჰა, ჰა! — ახითხითდნენ ფოთლები.

— ჰი, ჰი, ჰი! — ჩაიცინეს ბაბუაწვერებმა.

— რა გაცინებთ! — შეუძახა ცალყურამ და მთელი ძალით მოწყდა ადგილს.

მაგრამ დახეთ უბედობას, ცალბორბლიანი ველოსიპედი ბაჭიამ ვეღარ დაიჭირა და ბებერ მუხას მთელი ძალით შეასკდა...

უგონოდ დაეცა ბალახებში, მაგრამ მაინც მოჰკრა ყური, გამარჯვებულებს ტაშით რომ აჯილდოვებდნენ და გული შეეკუმშა; უცებ ცალი ყური დაუგრძელდა: — ცალყურა, ცალყურა, სადა ხარ თაიგული მოგართვი! — გაიძახოდა კაჭკაჭი.

ცალყურას ერჩია მიწა გახეთქოდა და შიგ ჩავარდნილიყო. თვალები მაგრად დახუჭა, მაგრამ ცალყურში მაინც ესმოდა კაჭკაჭის გამყივანი ხმა.

„დავიღუპე! — გაიფიქრა ცალყურამ, — მთელი ცხრა მთის კურდღლებთან მომჭრა თავი იმ ენაჭარტალამ, ასეთ სიცოცხლეს ჯობია სადღაც გადავიკარგო!“ — ჩაიბუზღუნა და ფაიფაგლახით წამოდგა; ცალი ფეხი საშინლად ტკიოდა, ხმელი ჯოხი აიღო და ყავარჯენივით დაიბჯინა. უცებ დედას მოჰკრა თვალი, იგი ცრემლებს სამყურას ფოთლებით იწმენდდა, ცალ ხელში კი დაჟანგული ბორბალი ეკავა. თან ჩურჩულებდა. — „შენი ძმა ჩემპიონი გახდა, შენ კი... გული მტკივა, რომ ასე შერცხვი!..

ცალყურა სირცხვილისაგან ყურებამდე გაწითლდა და ორივე ყური დაცქვიტა.

— რატომ?

...დედის ნათქვამი რომ კარგად გაეგონა აი, იმიტომ!



ეროვნული ბიბლიოთეკა



## წარსულიდან

# ႧႳႫႠႬႨႸႥႨႪႨ

„ვებრძოდი თვითმპყრობელობას, ვცდილობდი, „ჯეჯილი“ შემენარჩუნებინა ჩვენი ყმაწვილებისათვის... სანამ შემეძლო, არაფერი დამიზოგავს და არც არავისთვის შემიტყობინებია ჩემი გაჭირვება“.

წინააღმდეგობებითა და სიკეთით, ბრძოლითა და გამარჯვებებით იყო აღსავსე ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის ცხოვრება. მან განიცადა 90-იანელების სწრაფვა მაღალი იდეალებისაკენ, 1905 წლის რევოლუცია, რეაქციის მძვინვარება, იმპერიალისტური ომი... და ბოლოს, განთავისუფლებული საქართველოს ბავშვებს უვნებლად გადასცა ჭირგამოვლილი, მაგრამ სათუთად შემონახული ჟურნალი „ჯეჯილი“. ამ დიდი პატრიოტის სიცოცხლის უმთავრეს საგანს სამშობლო — საქართველო წარმოადგენდა, პირდაპირ მიზანს კი — მშობლიური ხალხის სიკეთე, ბედნიერება, მათში განათლების შეტანა. მისი საცხოვრებელი ბინა ერთდროულად იყო „ჯეჯილისა“ და „კვალის“ რედაქცია, საიდუმლო კრებების ადგილი, „მასწავლებელ ქალთა“, „განათლების“, „სხივის“ და სხვა საზოგადოებების წევრთა და მოწინავე ადამიანთა შესაკრები. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის დროსაც, საწოლს მიჯაჭვული, არ ისვენებდა და კვლავ საბავშვო ლიტერატურული გამომცემლობისათვის ზრუნავდა.

ან. თუმანიშვილ-წერეთლის ფართო სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარს და XX საუკუნის დასაწყისს ემთხვევა.

მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ოჯახის მდიდარმა ტრადიციამ. ქართული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის ისტორიაში ცნობილია მისი მამა — მიხეილ თუმანიშვილი და ძმები — გიორგი, კონსტანტინე და ვასილი. იგი ახალგაზრდობის წლებიდანვე დაეწაფა ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის, დიდი რუსი მწერლის ლ. ტოლსტოის, რუსოსა და უშინსკის პედაგოგიურ ნაწარმოებებს. ან. თუმანიშვილი ადარებდა ერთმანეთს მათ სახელმძღვანელოებს, იღებდა უკეთეს მასალას მათგან და ნერგავდა მის მიერ ჩამოყალიბებულ სკოლებში, აქვეყნებდა „ჯეჯილის“ ფურცლებზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ანასტასია მიემგზავრება ევროპაში, სამშობლოში დაბრუნებისთანავე კი უფრო მეტი ენერგიით განაგრძობს საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო გაჭირვებული ქართველი გლეხკაცისა და მისი შვილების ბედით; მათი ცხოვრების გაუმჯობესების აუცილებელ პირობად განათლების შეტანა მიაჩნდა. აკადემიკოს კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „სოფლელების ცხოვრებას რომ დავაკვირდი, ვიფიქრე, რომ მხოლოდ სწავლას, ცოდნას და კაი მაგალითს შეუძლიან ამათი ფეხზე დაყენება და ჩუმათ გულში გადავწყვიტე, უსათუოდ სკოლა უნდა დავაარსო-მეთქი“.

მაგრამ პირველი ცდა უბნის ბავშვებისათვის სკოლის გახსნისა, მარცხით დამთავრებულა, ვინაიდან სულ ექვსიოდე შეგირდი ჰყოლიათ და ისინიც მალე დაფანტულან.

1884 წელს კი ანასტასია თუმანიშვილს თავის მშობლიურ სოფელ ხელთუბანში ადგილობრივი და ახლომახლო მცხოვრებ ღარიბი ბავშვებისათვის აუშენებია სკოლა, ნათელი კლასებით, საფუტკრე ბაღითა და შორიდან ჩამოსულ ბავშვთა საცხოვრებლით. სკოლის მშენებლობაში ანასტასიას დახმარებია „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის დაარსებაშიც მას დიდი ღვაწლი მიუძღვოდა და რომლის გამგეობის წევრიც იყო იგი მრავალი წლის განმავლობაში. იმ სკოლაში მასწავლებლობდა მწერალი თედო რაზიკაშვილი. იგი დიდად აფასებდა ანასტასიას ამაგს, 1891 წლის 12 მაისს „ივერიაში“ წერდა: „ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გადავუხადო კნ. ან. მიხეილის ასულს თუმანიშვილს, რომლისაგანაც ჩემდამი რწმუნებულს სკოლას უსასყიდლოდ მოდის, ეს მეორე წელიწადია ჟურნალი „ჯეჯილი“, ამასთანავე უგზავნის სკოლას სხვადასხვა საყმაწვილო წიგნაკებს...“

1902 წელს, ახლანდელ ყაზბეგის ქუჩაზე, ანასტასია თუმანიშვილს დაწყებითი სკოლა დაუარსებია, სადაც სხვა სკოლებისაგან განსხვავებით, მეცადინეობა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ამის გამო ანასტასიას მუდმივი უსიამოვნება ჰქონია ხელისუფლებთან. საბოლოოდ სკოლა დაუხურავთ, მაგრამ დაუდგრომელ ანასტასიას საზოგადოება „განათლება“ ჩამოუყალიბებია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: დები ნიკოლაძეები, ან. თიკანაძე, სოფიო კალანდარიშვილი, ალ. ფილავა, მარიამ მაჩაბელი, იაკობ ზედგინიძე და სხვები. ისინი იბრძოდნენ ქართული ეროვნული სკოლის შექმნისათვის, და მკაცრ ადმინისტრაციულ პირობებში გაუხსნიათ ქალთა სკოლა, სადაც მოწაფეთა უმრავლესობა ღარიბი და ხელმოკლე ოჯახებიდან იყვნენ. ისინი სწავლობდნენ უფასოდ ან ფასდაკლებით.

ამ სკოლაში ასწავლიდნენ ნინო წერეთელი, ეფემია გიორგიევა, ელენე საგინაშვილი, ივლიტა ნაკაშიძე, თამარ თურქესტანიშვილი, ლევან ფალიაშვილი, ოლღა თეზეიშვილი და საზღვარგარეთიდან ახლადდაბრუნებული ჩვენი საამაყო პედაგოგი ნინო ბოცვაძე. ნინო ბოცვაძე იგონებდა: „ან. თუმანიშვილის გავლენით „მასწავლებლებს იშვიათი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ: ერთის ტკივილი ყველას ტკივილი იყო. ჩინებული ურთიერთობა იყო აგრეთვე მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის... რომ სკოლა „განათლება“ თავისაკენ იზიდავდა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს და მშობლიურ კერასავით უყვარდათო. „განათლების“ სკოლაში ჩაეყარა საფუძველი პროფესიულ განყოფილებას, რომლიდანაც შემდეგ წარმოიქმნა სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელი. იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პროფტექნიკუმად გადაკეთდა. საზოგადოება „განათლება“ ხშირად აწყობდა მოწაფეთა ნამუშევრების: ნახატების, ნაქარგების, ხელნაკეთობის გამოფენას, სალიტერატურო დილებს, ბავშვთა წარმოდგენებს; იგი ზრუნავდა აგრეთვე სკოლადამთავრებულთა ბედზე, მოხუც მასწავლებლებზე.

დიდი დამსახურება მიუძღვის ანასტასია თუმანიშვილს ქალთა გიმნაზიის დაარსების საქმეშიც. „კვალის“ და სხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ხშირად შეხვდებით ანასტასია თუმანიშვილის წერილებს ქართველ ქალთა განათლების საკითხზე, რათა განათლებულ ქალს აღეზარდა კულტურული თაობა და გონივრად ეწარმოებინა არა მარტო თავისი ოჯახი, არამედ საზოგადო საქმეც. იგი იბრძოდა საკვირაო, ხელსაქმისა და სხვადასხვა სახის სკოლების ჩამოყალიბებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანასტასია თვალყურს ადევნებდა სხვადასხვა მთარგმნელობითი წრეების მუშაობას, ილაშქრებდა სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ და მოითხოვდა ეთარგმნათ ცხოვრების მოთხოვნილების შესაფერისი ნაწარმოებები. თვად ანასტასიას კალამს, გარდა ორიგინალური მოთხრობებისა, ეკუთვნის მშვენიერი თარგმანებიც.

საჭირო და დროული დახმარება გაუწიეს მთარგმნელობითი წრის წევრებმა ქართველ საზოგადოებას „სახალხო საკითხავი წიგნაკების“, საბავშვო წიგნაკების, სამეცნიერო-პოპულარული წიგნაკებისა და სხვათა გამოცემით.

ყველაზე ნაყოფიერი საქმე, რითაც ანასტასიამ გარს შემოიკრიბა მოწინავე მწერლები, თავი მოუყარა ქართულ საბავშვო ლიტერატურას და შემდეგში აალორძინა იგი, იყო 1890 წელს საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ დაარსება და გამოცემა.

90-იან წლებში, საქართველოში, მარქსისტული ორგანიზაცია „მესამე დასი“ ჩამოყალიბდა. ცნობილმა მწერალმა და პუბლიცისტმა გ. წერეთელმა „მესამე დასს“ ფართოდ გადაუშალა ლიტერატურული ორგანოს, გაზეთ „კვალის“ ფურცლები. ამ საქმეში გიორგი წერეთელს მტკიცედ ედგა გვერდში მეუღლე — ანასტასია თუმანიშვილი. ანასტასიას ხელმძღვანელობით გამოდიოდა გაზეთი „კვალი“ 1893 წლის იანვრიდან, ვიდრე მის დახურვამდე, 1904 წლის თებერვალამდე, ხოლო გაზეთის ოფიციალური რედაქტორი იყო დაარსებიდან — 1903 წლის 16 მარტამდე. ანასტასია წერეთელი აწერდა ხელს გაზეთის ყოველ ნომერს, პასუხს აგებდა ცენზურის წინაშე, აგვარებდა ფინანსურ მხარეებს და ათავსებდა ნიჭიერად დაწერილ პუბლიცისტურ წერილებს საზოგადოებრივი საქმის ამა თუ იმ საკითხებზე: სკოლების, გამომცემლობის, ბიბლიოთეკების, ქალთა განათლებისა და სხვათა შესახებ; ბეჭდავდა ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს და მაღალი ლიტერატურული გემოვნებით შესრულებულ თარგმანებს. იგი მრავალი წლის მანძილზე ვაჟკაცურად იტანდა „ჯეჯილისა“ და „კვალის“ საგამომცემლო საქმის მთელ სიძნელეებს.

ანასტასიასათვის არ არსებობდა პირადი საქმე, მთელი მისი ცხოვრება საზოგადოებასთან იყო დაკავშირებული. აკი, ასეც წერდა ანასტასიას 1894 წლის 27 თებერვალს მისი მეუღლე: „...მე და შენ ისეთები შეგვყარა ღმერთმა, რომ უსაზოგადო საქმეთ ჩვენი ცხოვრება არ შეიძლება, ამასათვის იძულებული ვართ, ამ ჩვენს ქვეყანაში ხან იქ უნდა მივეშველოთ, ხან აქ, რომ რამენაირად საზოგადო საქმე წინ წავაგდოთ. ჩემდათავად შენი სიყვარული და შენი ამხანაგობა ისე მამხნევებს, რომ ყმაწვილობის ძალასა და ღონეს ვგრძნობ“.

ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა ღირსეულად მოიპოვა სამუდამო განსასვენებელი მთაწმინდის პანთეონში, ჩვენი დიდი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების გვერდით.

**კლარა კოკაშვილი**

# შიმშილის შვილები

ზოგიერთი სწავლულის წინასწარმეტყველებით, 2.000 წლისათვის, როდესაც დედამიწის მცხოვრებთა რიცხვი 5 მილიარდს მიაღწევს, შიმშილი მილიონობით ადამიანს შეიწირავს. ნაწილს კი მიაჩნია, რომ ჩვენს პლანეტას ახლაც არა აქვს თავისი შვილების გამოკვების საშუალება. ყოველდღიურად ათიათასობით ადამიანი, პირველ რიგში კი ბავშვები, შიმშილით იღუპებიან, ხოლო კაცობრიობის ორი მესამედი შიმშილობს.

რით შეიძლება ამას ეშველოს? და, საერთოდ, ეშველება თუ არა, სანამ არ მოისპობა ბოროტების ფესვი, უდიდესი უსამართლობა, რომელიც ორ ბანაკად ჰყოფს დედამიწის მკვიდრთ — სანამ ერთ მხარეს არიან უამრავი ნაძარცვით მოყირჭებული ადამიანები და სახელმწიფონი, მეორეს მხრივ — ყველაფერს მოკლებული ლატაკები.

60 მილიონი ადამიანიდან, რომლებიც ყოველწლიურად იხოცებიან, 40 მილიონი — მათ შორის კი მეტწილად ბავშვები, შიმშილის მსხვერპლნი არიან. თუ იმ ქვეყნებში, სადაც ხალხი არ შიმშილობს, ბავშვთა სიკვდილიანობა ათას ადამიანზე 20-ია, ჩამორჩენილ, სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც შიმშილი ადამიანთა ყოველდღიური ჭირია, ბავშვთა სიკვდილიანობა ათასზე 150-250 აღწევს.

მაგრამ გარდა ისეთი შიმშილისა, რომელიც სწრაფად უღებს ბოლოს ადამიანებს, არის მეორე სახის — ფარულად მოქმედი შიმშილიც. იგი ნელა, მაგრამ დაუნდობლად ფიტავს თავის მსხვერპლთ, მინიმუმამდე ამცირებს მათ ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. აპატიისა და დაღლილობის შეგრძნება ახალგაზრდას მოხუცად აქცევს და უდროოდ ჩაჰყავს სამარეში.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ათასობით გლეხის ყოველდღიური საკვებია ერთი მუჭა ბრინჯი, ან ჭადის ნატეხი, ანდა კოკაინის ბუჩქიდან მოწყვეტილი ფოთლები, რომლებსაც ისინი ღეჭავენ შიმშილის გრძნობის მისაყუჩებლად და მართალია, სწრაფად არ კვდებიან, მაგრამ შიმშილით დასაღუპავად არიან განწირულნი.

ამიტომ, თუ ვინმე დასწამებს სიზარმაცეს აფრიკელ ზანგს, ან ლათინური ამერიკის მცხოვრებს, ნუ დაგავიწყდებათ, რომ იმ სიზარმაცის ნამდვილი სახელი შიმშილი და სილატაკეა, რომელსაც წარმოშობს კოლონიალიზმი, იმპერიალიზმი და რასობრივი დისკრიმინაცია. მას განსაზღვრული გეოგრაფიაც გააჩნია — სამხრეთი და ცენტრალური ამერიკა, აფრიკა, აზია.

ამერიკისა და ევროპის მცხოვრებლებზე, რომლებიც მთელი დედამიწის მოსახლეობის 29 პროცენტს შეადგენენ, მთელს მსოფლიოში წარმოებული სურსათის 57 და ხორცის 69 პროცენტი მოდის. მაშინ როდესაც აზიას (ჩინეთის გამოკლებით), სადაც 1 მილიარდზე მეტი ადამიანია, ესე იგი მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარი, მსოფლიოში წარმოებული სურსათის მხოლოდ 25 პროცენტი მოუწევთ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის 8 პროცენტი და იგი ფლობს მსოფლიო შემოსავლის 50-55 პროცენტს, ლათინურ ამერიკაზე კი, სადაც დედამიწის მოსახლეობის 7 პროცენტი ბინადრობს, მსოფლიო შემოსავლის მხოლოდ 4,5 პროცენტი მოდის, ხოლო აფრიკაზე — 2 პროცენტი.

ამგვარად, შიმშილის გეოგრაფია არაა რაღაც წინასწარ განსაზღვრული აუცილებლობა, მისი მიზეზები პოლიტიკურ და ეკონომიურ ხასიათს ატარებს. თუ ისტორიას გადავფურცლავთ, დავინახავთ, რომ შიმშილით დაღდასმული ქვეყნები ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდნენ კოლონიალიზმის უღელქვეშ, იმპერიალისტთა ექსპლოატაციას განიცდიდნენ, ხოლო ბევრი მათგანი დღესაც ნეოკოლონიალიზმის მსხვერპლია.

ჟურნალი „ბოლგარსკაია ჟენშჩინა“

# ულამაზესი ანუ ქალთა სილამაზის ისტორია

„...ნეფერნეფერს ვუყურებდი და გულმა მაგრად დამიწყო ცემა. მას მწვანე თვალები ჰქონდა, როგორც ნილოსის წყალი; ყელი, იდაყვები, ფეხის კოჭები სამკაულებით ჰქონდა მორთული, ხოლო თავი სულ შიშველი ჰქონდა. ამისი მსგავსი მშვენიერება არსად მინახავს“...

ასე აღწერს სილამაზით განთქმულ ქალს იმდროინდელი ეგვიპტელი სინუხი.

საეჭვოა, რომ დღეს ქალის მელოტმა თავმა ვინმე აღტაცებაში მოიყვანოს. სხვა დროში გემოვნებაც სხვანაირი იყო. ამიტომ „საერთოდ“ ლამაზი ქალიშვილი არ არსებობს. ყოველ ეპოქაში ქალში რაღაც სხვა მოსწონდათ, იცვლებოდა სილამაზის იდეალი.

ოთხი ათასი წლის წინათ მშვენიერი ეგვიპტელი ქალის გარეგნობაში მთავარი შავი პარიკი გახლდათ, რომელიც გაპარსულ თავზე ჰქონდათ დადებული, სილამაზის უცილობელი პირობა იყო აგრეთვე დიდი ნუშისებური თვალები და გამხდარი ფეხები. ქალიშვილს მხოლოდ მოკლე ქვედატანი ემოსა. თავის სიკეკლუცეს იგი სახის შეღებვითა და სურნელოვანი ზეთისა და ნელსაცხებლის სუნის შეხამებით გამოხატავდა. ამ ზეთსა და ნელსაცხებელს ის პატარა სპეციალურ კოლოფში ატარებდა, რომელიც სავარცხელთან ერთად თმაში ჰქონდა ჩაბნეული.

ძველ საბერძნეთში, პირიქით, ადამიანის სხეულის ჰარმონია და ბუნებრივი მომხიბვლელობა ფასდებოდა. ლამაზი ქალი ქანდაკებას ჰგავდა: მას ჰქონდა პატარა თავი, სწორი ცხვირი და დიდი თვალები. ზემოთ ავარცხნილი თმა ამკობდა ჰარმონიულ სილუეტს. თავისუფალი ტანსაცმელი სხეულის აღნაგობას ნაკვთავდა. ბერძნული ხიტონის კალთები ლაღად ფრიალებდნენ მზიან სტადიონებზე ცეკვისა და თამაშის დროს.

რომში კი ამის მსგავსი არაფერი იყო. რომაელმა ქალმა ბუნებრივობა და მომხიბვლელობა ღირსებას ანაცვალა. მისთვის მისაბაძი მოწიფული მატრონა, ღირსეული პიროვნების ცოლი იყო. არ არის გასაკვირი, რომ მშვენიერი მანდილოსანი ყოველდღე თითქმის ორ საათს ანდომებდა ტოგის მდიდრული ფალდების გარკვეული წესით დაწყობას. ელეგანტურობა ძალისა და შეძლების სიმბოლო გახდა. მოდაში მხოლოდ ქერათმიანი ქალები იყვნენ.

— წითურთმიანი ქალი ვითხოვო? — არასოდეს! — წარმოთქვა ერთ-ერთმა ღირსეულმა რომაელმა.

მაგრამ ყველაფერი იქით იყოს და, ნამდვილად მადლობა ეთქმით რომაელებს, ნემსისა და ძაფის გამოგონებისათვის.

შუა საუკუნეებში მსოფლიო კულტურის ცენტრმა ჩრდილოეთ ევროპაში გადაინაცვლა. ცივმა ჰავამ და ქრისტიანულმა თავმოდრეკილობამ განაპირობა შუა საუკუნეების სიმშვენიერის ეტალონი. მისი განსახიერება გახდა გამხდარი ქალიშვილი თეთრი ხელისგულებით, პატარა ბაგეებით, სამკუთხა სახითა და ისრისებური სილუეტით. ქალები ნახევარმეტრიანი ფარფლებით მორთულ ქუდსა და სამკუთხა დეკოლტეებს ატარებდნენ. თმის გამოჩენა წარმოუდგენელ უზრდელობად ითვლებოდა. თმას თავსაბურავის ქვეშ მალავდნენ, წარბებს იპარსავდნენ და მათ ადგილზე ნახევარრკალებს იხატავდნენ. ტანს ღრმად დახურული გრძელი კაბა ფარავდა. ერთი სიტყვით, სხეულს ომი გამოეცხადა.

შუა საუკუნეებში დაიწყეს ტანსაცმლის ზომების მიხედვით შეკერვა. მორგებული კაბა ქალის ფორმებს გამოკვეთავდა და ძალიან ძვირად ფასობდა.

თავმდაბლობისა და სიმკაცრის მომთხოვნელობამ თავისი საქმე გააკეთა: ამ ხანებში სიყვარული ძალიან ხშირად სიმბოლურ ფორმას ღებულობდა. მასზე ტრუბადურები მღეროდნენ, რაინდები ომში წასვლის წინ ჯავშნის ქვეშ ინახავდნენ სატრფოს მიერ სიყვარულის ნიშნად ნაბოძებ პერანგს, რომელსაც დაბრუნებისთანავე უკან მიართმევდნენ. და ეს პერანგი ძალიან იშვიათი და ძვირფასი ნივთი იყო.

შუა საუკუნეების გაცრეცილი, სინაზით ალსავსე მშვენიერების იდეალი შესცვალა აღორძინების ხანის იდეალმა. კაცობრიობის ისტორიის ამ მშვენიერ ეპოქაში უმთავრესად ჩასკვნილი, ძალ-ღონით სავსე სილუეტები ჭარბობდა. მაშინ არ უყვარდათ არაფერი ისეთი, რაც არაბუნებრივი და შემზარავი იყო. ცხოვრებით ტკბობა და დროსტარება დიდ პატივში იყო. რენესანსის დროს მშვენიერ არსებას სავსე ნაკვთები, სქელი, მბზინვარე, მხრებზე თავისუფლად ჩამოშლილი თმა ჰქონდა. ტანთ მწვანე და შინდისფერი ატლასის კაბა ემოსა. მაგრამ ჩასკვნილი, ტანსავსე ქალი პროპორციებით აგებდა — უფრო დაბალი და მოუხეშავი ჩანდა, ამიტომ ფეხსაცმელს ქვესადგომები გაუკეთეს. ასე დაიბადა ქუსლი.

შემდგომ საუკუნეებში მოდების სამყაროს კანონმდებელი პარიზი გახდა. პარიზის სამეფო კარი მსოფლიოს კარნახობს მოდას. სიფაქიზე, მიმზიდველობა, მომხიბვლელობა ქალის სილამაზის აუცილებელ ატრიბუტად იქცა. მშვენიერი ასულები უხვად პუდრმოყრილ ვერცხლისფერ პარიკებს ატარებდნენ, ლოყებზე ფერ-უმარილს ისვამდნენ და პატარა წერტილებს — ხალებს იწებებდნენ. მათ ქვედატანზე ვარდების გირლანდები იყო აყვავებული. ასე გამოწყობილი ქალი დახატულ სურათს ემსგავსებოდა.

სულ სხვანაირად გამოიყურებოდა ადამ მიცკევიჩის გულის დარდი — მარილა, და რომანტიზმის ეპოქის ქალიშვილები, ოცნებით აღსავსენი, შეყვარებულნი, პოეზიით გატაცებულნი.

რომანტიკული ქალიშვილი, უპირველეს ყოვლისა, არ უნდა ყოფილიყო ჯანმრთელი და ცხოვრებით კმაყოფილი. ამ დროს აღტაცებას იწვევდნენ სუსტი და მელანქოლიური ასულები, რომლებიც ღია ფერის კაბებს იცვამდნენ, თეძოებამდე ბაფთებით გაწყობილს. ქალიშვილის სახეს არტისტული უწესრიგობით დაწყობილი კულულები ამკობდა. ულამაზესი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ თვრამეტი წლის ქალი.

ამ დრომაც განვლო და უკვე XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე ამ ასაკის ქალიშვილები საბავშვო ოთახებში გაისტუმრეს. ლამაზად ისევ მოწიფული ქალი ითვლებოდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სილამაზის შეფასებაში ნამდვილი რევოლუცია მოხდა. ქალებმა კორსეტები გაიხადეს, კაბები დაიმოკლეს და გრძელი ფეხები გამოაჩინეს. ემანსიპაციასთან დაკავშირებით, სილამაზის იდეალად სპორტსმენი ქალის ტიპი იქცა. ცხოვრების ყველა სფეროში მამაკაცის პარტნიორი, ქალი უკვე აღარ იყო სუსტი არსება, რომელსაც მოფერება და ლოლიაობა სჭირდებოდა. მოკლედ შეჭრილი თმა, შარვალი, თანამედროვე ქალიშვილების მოყვანილი ტანადობა მისი დამოუკიდებლობის მანიფესტაციად იქცა.

ხელსაყრელია თუ არა ჩვენთვის სილამაზის ეტალონის ამგვარი ცვალებადობა? იმათთვის, ვინც თავის დროს დაიბადნენ (სილამაზის ტიპის მიხედვით), ეს სავსებით ხელსაყრელი უნდა იყოს. სხვებს კი ის დარჩენიათ, თავი დაიიმედონ იმით, რომ ისეთი დროც დადგება, როცა მსუქანი, დაბალი ან, პირიქით, ზედმეტად გამხდარი, ნაზი ქალები ულამაზესნი იქნებიან.

პოლონურიდან თარგმნა ა. ჯავაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენჯამინ სპოკი

# ბავშვი და მისი მოვლა

## ვასწავლოთ ბავშვს იყოს კეთილი

წლინახევრის, ორი წლის, ორწლინახევრის ბავშვები თამაშის დროს მოურიდებლად ართმევენ ერთმანეთს სათამაშოებს. იმისათვის, რომ „კარგი ბიჭი“ დამიძახონო, პატარა ბავშვი თავის საკუთრებას არასოდეს არ დათმობს. ის ან მთელი ძალით ჩააფრინდება სათამაშოს და შეიძლება ცემოს კიდეც წამრთმევი, ან დაბნეულობაში უბრძოლველად დაუთმობს. ეს ამბავი დედას ყოველთვის თავზარსა ცემს.

თუ თქვენი ორი წლის ბავშვი ყოველთვის ართმევს სხვებს სათამაშოებს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი ჩხუბისთავი და თავკერძა გაიზრდება. ის ჯერ კიდევ პატარაა იმისათვის, რომ სხვებს ანგარიში გაუწიოს. დაე, წაართვას ხანდახან, მაგრამ თუკი ყოველთვის ყველაფერს ართმევს ვინმეს, უმჯობესია, ცოტა მოზრდილ ბავშვებთან ითამაშოს, რომელთაც თავიანთი უფლებების დაცვა უკეთ შეუძლიათ. როდესაც ერთი ბავშვი მეორეს ყოველთვის უთმობს, სჯობს რამდენიმე ხნით ისინი ერთმანეთს მოაშოროთ. თუ თქვენი ბავშვი ტკივილს აყენებს მეორეს, ანდა მძვინვარე სახე აქვს, იქაურობას აუცილებლად მოაცილეთ და მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანეთ. არ დატუქსოთ, თორემ ბავშვი იფიქრებს, ყველამ მიღალატაო, და კიდევ უფრო აგრესიული გახდება.

თუ სამი წლის შემდეგაც თქვენი ბავშვი მეტისმეტად აგრესიულია და კოლექტივისათვის ანგარიშის გაწევა ვერ ისწავლა, საჭიროა ამის მიზეზის გარკვევა. ადრეულ ასაკში ბავშვთა ექიმ-ფსიქიატრმა, შეიძლება, ეფექტური დახმარება გაგიწიოთ.

თუ თქვენს ორი წლის ბავშვს საკუთრების დათმობა არ სურს, ის, თავის ასაკთან შედარებით, ნორმალურად იქცევა. შემდეგ, როცა სხვა ადამიანების სიყვარულს ისწავლის, კეთილი გახდება, მაგრამ ახლა თუ თავისი უძვირფასესი ურიკის მიცემას აიძულებთ, როგორც კი ის სხვა ბავშვს დასჭირდება, გადაწყვეტს, მთელი ქვეყანა, ბავშვებიც და დიდებიც, ჩემს წინააღმდეგ აღმდგარან და ჩემი „განძეულობის“ წართმევა უნდათო. ეს კი მხოლოდ გააძლიერებს მის მესაკუთრულ გრძნობებს.

დაახლოებით სამი წლისათვის ბავშვს სხვა ბავშვების საზოგადოება უფროართობს. შეგიძლიათ დაეხმაროთ. შესთავაზეთ თამაში: „ჯერ ჯონი წაიყვანს ურიკას, მერი შიგ ჯდება, შემდეგ მერი წაიყვანს, ჯონი კი ჩაჯდება“. მაშინ ბავშვი სიამოვნებით გაუყოფს თავის სათამაშოებს და ამას არასასიამოვნო ვალდებულებად არ ჩათვლის. ადრეული ასაკის ბავშვების კოლექტივში აღზრდის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბავშვთა შორის ურთიერთობის დადებითი ფორმების დანერგვა სიცოცხლის მეორე წელსაც წარმატებით ტარდება, თუ სისტემატურად მივაჩვევთ მათ სათამაშოების გაცვლას და გემრიელი ლუკმის გაყოფას. ბავშვისათვის კეთილი ჩვევების სწავლებისას ფრთხილად უნდა შევარჩიოთ მომენტი, გამოვიყენოთ ბავშვის შედარებით „დაკმაყოფილებული“ მდგომარეობა. უნდა ვერიდოთ „დიდ მსხვერპლს“.

## ორი წლის ბავშვის შიში

მშობლებთან განშორების შიში. აი, რა ხდება ხანდახან, როდესაც დედას მინდობილი ორი წლის მგრძნობიარე ბავშვი, მითუმეტეს, დედისერთა, მოულოდნელად შორდება დედას. ვთქვათ, დედა ორიოდე კვირით აუცილებლად უნდა გავიდეს ქალაქიდან, ან სამუშაოზე დაბრუნებას გადაწყვეტს და ბავშვისათვის გადიას (უცხო ადამიანს) ქირაობს. ჩვეულებრივ, სანამ დედა არ არის, ბავშვი მშვიდად იქცევა, მაგრამ როგორც კი დაბრუნდება, წურბელასავით ეკვრის მას და სხვა ქალს ახლოსაც არ იკარებს. იგი პანიკურ შიშში ვარდება, როცა წარმოიდგენს, დედა შეიძლება ისევ წავიდესო. მასთან განშორებისა მეტადრე მაშინ ეშინია, როდესაც ძილის დრო მოვა. შეშინებული, გააფთრებით ეწინააღმდეგება დედას. თუკი დედა ხელიდან გაუსხლტა, შეიძლება შიშით რამდენიმე საათი იტიროს. თუ იგი საწოლთან უზის, ბავშვი მშვიდად წევს, მაგრამ საკმარისია ის გაინძრეს. რომ მაშინვე წამოხტება.

ხანდახან ბავშვი ლოგინის დასველების შიშით წუხს. გადაყენებას ითხოვს, დედა სვამს ქოთანზე, ის რამდენიმე წვეთს ძლივძლივობით შარდავს. მაგრამ როგორც კი ლოგინში დააბრუნებენ, ისევ ქოთანს ითხოვს. იტყვით, ის საერთოდ სარგებლობს ამ საბაბით, რათა დედა დააკავოსო. მართალია, მაგრამ საქმე მარტო ამაში როდია! ბავშვებს მართლაც ეშინიათ ლოგინის დასველების. ამაზე ფიქრით ისინი ღამით ზოგჯერ ყოველ ორ საათში ილვიძებენ. დედა კი ასეთი სიფრთხილისათვის კიცხავს. მაგრამ, იქნებ, ბავშვს წარმოუდგენია, რომ თუ ლოგინს დაასველებს, დედას ნაკლებად ეყვარება და მაშინ წავა! ასე რომ, მას ორი მიზეზით ეშინია დაძინებისა.

## საიდან მოჰყავთ ბავშვები?

სქესობრივი აღზრდა, გსურთ ეს თუ არა, ადრე იწყება. ჩვეულებრივ ფიქრობენ, ლექცია სკოლაში, ან სახლში მშობლებთან სერიოზული ლაპარაკი — სქესობრივი აღზრდააო. ეს გახლავთ მეტად ვიწრო გაგება სქესობრივი აღზრდის ამოცანისა. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ბავშვი სხვადასხვა ცხოვრებისეულ მოვლენებს შეიცნობს, თუ კარგი გზით არა, არაჯანსაღი გზით მაინც გაიგებს ამას. სქესობრივი აღზრდა გაცილებით უფრო რთული საკითხია, ვიდრე პასუხის გაცემა იმაზე, თუ საიდან ჩნდებიან ბავშვები. იგი შეიცავს საკითხებს ქალისა და მამაკაცის ურთიერთდამოკიდებულებისა და ცხოვრებაში მათი შესაბამისი დანიშნულების შესახებ. ნება მიბოძეთ, დაგისახელოთ ორი მაგალითი: ბიჭის მამა უხეშად ექცევა ბიჭის დედას. ვერავითარი ლექცია ვერ დაუმტკიცებს ბავშვს, რომ ქორწინება ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის კავშირია. გამოცდილება სხვას ეუბნება. როცა ბავშვი ქორწინების ფიზიოლოგიურ მხარეს გაიგებს, ამას მისთვის კარგად ცნობილ უხეში ურთიერთობის სურათს დაუკავშირებს.

ან წარმოიდგინეთ გოგონა, რომელიც ბავშვობიდანვე საკუთარი უსარგებლობის გრძნობით იზრდება, რადგანაც მშობლებს მისი ძმა ურჩევნიათ. მას ყოველთვის ათვალისწუნებული ეყოლება მამაკაცები, რადგან იფიქრებს, ცხოვრებაში ყოველივე საუკეთესოს ისინი იღებენ, ქალები კი ყოველთვის მსხვერპლი არიანო. და ვერავითარი ლექცია და წიგნი ველარ გადაარწმუნებს. რაც უნდა გაიგოს, ან განიცადოს, ყველაფერს იმავე თვალსაზრისით აღიქვამს. კიდეც რომ გათხოვდეს, ქმარს ველარ შეეგუება.

ბავშვები, დაახლოებით, სამი წლის ასაკში იძლევიან შეკითხვებს. ორნახევარი წლიდან სამნახევრამდე ბავშვები უფრო კონკრეტულ წარმოდგენას იღებენ სქესობრივ პრობლემასთან დაკავშირებულ საგნებზე. ამ ასაკში ბავშვი უფროსებს თავს აბეზრებს გაუთავებელი „რატომით“. თუ მას თავიდანვე არასწორი შთაბეჭდილება შეექმნება, მაშინ შემდგომში დამახინჯებული წარმოდგენა ექნება სქესთა ურთიერთობაზე.

„საიდან მოჰყავთ ბავშვები?“ — ამ შეკითხვას ბავშვი დაახლოებით სამი წლის ასაკში მოგცემთ. სჯობს, მაშინვე უთხრათ სიმართლე, ვიდრე გამოიგონოთ ვერსია და შემდეგ იძულებული გახდეთ გადათქვათ ის. ეცადეთ, მარტივი პასუხი გასცეთ. შეგიძლიათ უთხრათ: „ბავშვები დედის სხეულში სპეციალურ ადგილას იზრდებიან“. თუ ეს დააკმაყოფილებს. მაშინ ჯერ-ჯერობით მეტი არაფრის თქმა არ არის საჭირო. მაგრამ რამდენიმე წუთის, ან, შეიძლება, რამდენიმე თვის შემდეგ ის განაგრძობს გამოკითხვას. როგორ ხვდება ბავშვი დედის შიგნით და როგორ გამოდის იქიდან? პირველი შეკითხვა დედას, ალბათ, შეაცბუნებს. შეიძლება, იფიქროს, ბავშვს სურს იცოდეს ჩასახვისა და სქესობრივი ურთიერთობის ამბავიო, რაც, რასაკვირველია, ბავშვს აზრადაც არ მოსდის. მან იცის, რომ მუცელში ხვდება ის, რასაც ხალხი ჭამს და, შესაძლებელია, ჰგონია კიდეც, ბავშვსაც ამ გზით შეეძლო იქ მოხვედრაო. ყველაზე მარტივი პასუხია: ბავშვი იზრდება პაწაწინა თესლიდან, რომელიც ყოველთვის იყო დედის სხეულში.

---

*) გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველოს ქალი“, № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკრაინული კერძები

## ბორში

1 კგ მსუქანი ძროხის ხორცი (უმჯობესია მკერდის ნაწილი) კარგად გარეცხეთ, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით ცივი წყალი და მოსახარშად დადგით ძლიერ ცეცხლზე. როგორც კი ბულიონი ადუღებას დაიწყებს, მოხადეთ ქაფი. ადუღების შემდეგ ცეცხლი შეანელეთ და ნელი დუღილით განაგრძეთ ხარშვა. დუღილის დროს ბულიონის ზედაპირზე წარმოქმნილი ცხიმი ხანგამოშვებით მოხადეთ და ცალკე ჭურჭელში ჩაასხით. მოხარშული ხორცი ამოიღეთ ბულიონიდან, მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელში, ზემოდან მოაყარეთ ცოტა სუფრის მარილი, დაასხით ცოტა ბულიონი და თავდახურული შეინახეთ. ამავე დროს მოამზადეთ ბოსტნეული. 600 გრ გარეცხილი, კანგაცლილი სუფრის წითელი ჭარხალი დაჭერით ნამჯისებურად, მოათავსეთ ღრმა ტაფაში, ჩაუმატეთ ბულიონიდან მოხდილი ცხიმი, ნახევარი ჩაის ჭიქა პამიდვრის პასტა ან 600 გრ მოხარშული და გახეხილი ახალი პამიდორი, უყავით გემოვნებით ძმარი, შაქარი, მარილი და თავდახურული შუშეთ ნელ ცეცხლზე, თან ხანგამოშვებით ურიეთ.

გასუფთავებული, გარეცხილი 200 გრ სტაფილო, 100 გრ ოხრახუშის ძირხვენა, 2 თავი ხახვი დაჭერით ნამჯისებურად და საქონლის ცხიმზე მოშუშეთ თავდახურულ ჭურჭელში.

800 გრ კომბოსტო გარეცხეთ, დაკეპეთ წვრილად. გათლილი 500 გრ კარტოფილი დაჭერით ოთხკუთხედებად. აიღეთ თქვენს გემოზე — დაკეპილი ნიორი, წვრილად დაჭრილი ოხრახუში და კამა, ძარილი, დაუმატეთ ოთხკუთხედებად დაჭრილი 60 გრ ღორის ქონი (სუთი) და ერთად კარგად დასრისეთ ქვასანაყით.

ხორცის ბულიონი გაწურეთ და როგორც ადუღებას დაიწყებს, მოათავსეთ შიგ გამზადებული კომბოსტო, კარტოფილი, წითელი წიწაკა და ნელ ცეცხლზე ხარშეთ 15-20 წუთი. შემდეგ წვენიდან ამოიღეთ წიწაკა, ჩაუმატეთ შიგ მოშუშული ჭარხალი, ძირხვენეული, ხახვი, დაფნის ფოთოლი (გემოვნებით), ცოტა ბულიონში გახსნილი ერთი სუფრის კოვზი მოშუშული პურის ფქვილი და ადუღეთ 5-10 წუთი. შეაზავეთ ნივრიანი და მწვანილიანი ღორის ქონით. როცა წამოდუღდება, დაახურეთ ქვაბს სახურავი, ცეცხლთან შორიახლოს დადგით და გააჩერეთ 15-20 წუთს.

სუფრაზე მიტანისას მათლაფაში მოათავსეთ ერთი საულუფე ნაჭერი ცხელი ხორცი, დაასხით ზედ ცხელი მზა ბორში, ჩაუმატეთ არაჟანი და წვრილად დაჭრილი ოხრახუში ან კამა.

## გალუშკი

გაცრილი $2^1/_2$ ჩაის ჭიქა პურის ფქვილი გროვად დაყარეთ ცომის ფიცარზე, შუაში ჩაღრმავეთ, ჩაასხით შიგ ნახევარი ჩაის ჭიქა წყალი, ჩადეთ 2 სუფრის კოვზი ერბო, ცოტა მარილთან ერთად გათქვეფილი ორი კვერცხი, შეურიეთ ფქვილს და მოზილეთ ცომი. შემდეგ ცომი თანაბრად გააბრტყელეთ ნახევარი სანტიმეტრის სისქედ და დაჭერით საშუალო სიდიდის ნებისმიერი ფორმის ნაჭრებად. ცომის ნაჭრები ჩაუშვით ოდნავ მარილიან მდუღარე წყალში და ნელი დუღილით ხარშეთ 10-15 წუთი. როცა გალუშკები წყლის ზედაპირზე ამოტივტივდება, ქაფქირით ამოაწყვეთ თუშფალანგზე, რომ წყლისაგან დაიწრიტოს. ამავე დროს ტაფაზე გააცხელეთ ასი გრამი კარაქი, დააწყვეთ ზედ წყლისაგან დაწრეტილი გალუშკი და შეაწითლეთ, თან ტაფა ხშირ-ხშირად შეანჯღრიეთ ხოლმე. ცხელ გალუშკის მოასხით ნახევარი ჭიქა არაჟანი.

## ალუბლიანი ვარენიკი

ერთი ჩაის ჭიქა გაცრილი პურის ფქვილი გროვად დაყარეთ ცომის ფიცარზე, შუაში ჩაღრმავეთ, ჩაახალეთ ერთი კვერცხი, ჩაასხით ნახევარი ჩაის ჭიქა წყალი. ჩააყარეთ მარილი (თქვენს გემოზე) და მოზილეთ მაგარი ცომი. ცომი გააჩერეთ ოცი წუთი. 500-600 გრ ალუბალი დაჩურჩეთ, მოაყარეთ ერთი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და აურიეთ (შეგიძლიათ გამოიყენოთ დაკონსერვებული ალუბალი).

ცომი ძალიან თხლად გააბრტყელეთ. გაბრტყელების დროს ცოტა პურის ფქვილი უნდა იხმაროთ, რომ ვარენიკი ნაზი და გემრიელი გამოვიდეს. გაბრტყელებული ცომი დაჭერით პატარა ოთხკუთხედებად. თითოეული ცომის შუაგულში მოათავსეთ გამზადებული რამდენიმე ცალი ალუბალი. ცომს ნაპირებზე წაუსვით გათქვეფილი კვერცხის ცილა, შეაერთერთ ორ-ორი მოპირდაპირე კუთხე და შემოუკეცეთ. ასე გამზადებული ვარენიკი ერთი საათით მოათავსეთ მაცივარში.

ოდნავ მარილიან მდუღარე წყალში სათითაოდ ჩააწყვეთ წინასწარ გამზადებული ვარენიკები და ქვაბი შეანჯღრიეთ, რომ ცომი ძირზე არ მიიკრას. ხარშეთ, სანამ წყლის ზედაპირზე არ ამოტივტივდება (რასაც დასჭირდება დაახლოებით 15-20 წუთი). მოხარშული ვარენიკი წყლიდან ქაფქირით ამოაწყვეთ ფრიალა თეფშზე. სუფრაზე მიიტანეთ ცხლად, არაჟანით.

---

**გარეკანის პირველ გვერდზე — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი სოფიკო ჭიაურელი;**
**მეოთხე გვერდზე — უკრაინული მოდები.**

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: **ნ. ბურბენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.**
ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი კორექტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთა მმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 17/II-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/ III-72 წ. ქაღალდის ზომა 60X90$^1/_8$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 123.260. შეკვ. 573 უე 01783 **ფასი 30 კაპ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბივშტექსი ლენინგრადულად



კამკამა წვნიანი



სოკოს სალიანკა



თევზის ღვეზელი



ძროხის ხორცი რუსულად



პუდინგი



შნიცელი მოსკოვურად



შტოშის ჟელე

ნახატი ე. სენძიუკისა.





ИНДЕКС 76178